

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 52

2020



მთ. რედაქტორი

0ლ0ა გარამიშვილი

პოეტი, პუბლიცისტი,
საქართველოს მწერალთა
კავშირის პრემიის ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი”, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-859-5 (52 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნევა-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენი 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგარია ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეტმა იქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხგა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლებისა დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბირ

(გაგრძელება)

სიტყვის ფაქტურა აქ საოცრად ნაზი, გამჭვირვალე, მსუბუქი და ჰაეროვანია. ლექსის ორსი, მისი ღირსება ყველა მისთვის დამახასიათებელი ელემენტის ურთიერთმიმართებით, უჩინარი მთლიანობით შობილი განწყობილება და ასოციაციების ტრაექტორიაა, რამეთუ ახალი ეფექტური სახე და მათი ურთიერთმიმართების ხასიათი იცვლება:

„დედამიწა კი სიბნელეში წევს
უწყინარი,
როგორც ნათელზე ჩუმი ოცნება,
რომელიც ლურჯ ფრთებს ასაფრენად
იქნევს და იქნევს

და ვარსკვლავები ცად რომ ბრწყინავენ,



ცოდვილ მოკვდავთა არის ლოცვები.

მზე – უფალია,

მიტომ გვითბობს რწმენას და ფიქრებს.“

მართლაც, მხოლოდ ძლიერ და ლამაზ სულს შეუძლია აშკარად გამოოქვას ის, რასაც გრძნობს, მხოლოდ მას ხელეწიფება ატაროს თავის წიაღში უფლისადმი რწმენა და სწყუროდეს ახალი სიმაღლეების დაპყრობის ჟინი. ჩემი ღრმა რწმენით, მისი მზის ფერომენი ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოსდა სამშობლოს სიყვარული და მორალი შეწოვილ იქნა დედის რძესა და სისხლთან ერთად. პოეტი აღფრთოვანებით მიგვანიშნებს სამყაროს ნაკურთხ ფერადოვნებაზე და ასევე აღფრთოვანებით გვახსენებს რომ ფერადოვნების საფუძველი ერთობაა: „ეამთა ზღვაში დამეკარგა... დამსხვრეული როგორც შუშა, მსურს ერთიან გავამრთელო და იარა მოვუშუშო, მე, დავეძებ საქართველოს.“

ვაჟა ეგრისელის სულში ლექსი ცოცხალ არსებასავით ფეთქავს. თითქოს თავისი ლექსები კოლხეთიდან მონაბერი პაერით აავსო და თვალხილულ სიტყვებში ჩვენი საყვარელი ლირიკული გმირები ისე იცქირებიან როგორც სარკმელში მზის სხივები.

პოეტისათვის მზე ყველაფრის მაცოცხლებელი და სიცოცხლის დასაბამია. ამიტომაც მზიურია პოეტის ფიქრი და ოცნება. მისი პოეზიის თავისებურება



ისიცაა, რომ პოეტი ერთსა და იმავე აზრსა და განცდას სხვადასხვანაირად გადმოგვცემს. მზე პოეტისათვის სილამაზისა და სიწმინდის, იმედის წყაროა.

თამაზ ჭილაძე ერთ-ერთ წერილში წერს: „პოეზიაზე წერა ძნელია, რადგან ვერაფრით დააღწევ თავს სუბიექტურობას, დანიელ დეფორ თქვა: „ადამიანს რაც უნდა ბევრი ფული ჰქონდეს, მაინც ამ ფულისაგან ისეთ სიამოვნებასა და სარგებლობას მიიღებს, როგორც მას ეკუთვნის, პოეზია ასეა, მისგან ადამიანები მეტად განსხვავებულ სიამოვნებას ან სარგებლობას იღებენ. საბოლოო ჯამში, პოეზიისგან შეგიძლია მიიღო ის, რაც შენ თვითონ მიანიჭე. რადგან უშენოდ იგი არ არსებობს.“ ვაჟა ეგრისელის ლექსი, როგორც წყვდიადში დანთებული სინათლე, არა მარტო სიკეთეს ადამადლებს და განამტკიცებს, არამედ, ალბათ ამავე მიზნით წარმოაჩენს და ებრძვის ბოროტებას. პოეტის ნადვერდალივით მწველი სტრიქონი აღმგზებია და გადამდები, ყველა და ყველას ტკივილი ერის ტვირთი და შემოქმედის ვალი საკიდარი ხარისხით აქვს ზურგზე წამოკიდებული...

და მაინც არ არსებობს ისეთი გამომსახველობითი ძალა, რომელსაც პოეტმა მიმართა და არ დაძლია, ქართული სიტყვა, პოეტური წარმოსახვა, მთლიანი ენობრივი ქსოვილი, სახეების ქმნა და ფრთიანი ფრაზები მისი გულის მოთხოვნაა, სულის



წადილი, ბუნებას ხომ ერთდროული სასწაულები უყვარს:

„ცეცხლში ეხვევა ცა და ხმელეთი
ცვიგა და ცვიგა
ოქროს ისრები.
ხეები ფოთლებს იფარებენ... შველა არსაით!
დამშრალან მნათთა ოზისები,
წუხს მზის უდაბნო
მოვარგარე საპარასავით.“

მზის უდაბნო თითქოს კოსმიურ წიაღში ამოზი-
დული პოეტური მწვერვალია და „საპარასავით მო-
ვარვარე“, რომელიც ახალი შემოქმედებითი ცეც-
ხლის დასანთებად ადანთებს და პოეტიც მარადესამს
ცისკენ მაცქერალი ჩანგშემართულია და ღვთიური
მაღლით გაბრწყინებული:

„მარადესამს ცისკენ ჩანგშემართული,
მეხთამბეჭორცნები
და ღვთისმოსავ
დამურვებელი მზის და ზღვის პანგის,
სწორედ ისეთი შენ ხარ მგოსანი,
აზრის მფლანგველი,
სიტყვის კრიჟანგი.“



დიახ, საუკუნეები გაივლის, მაგრამ მარად დარჩება პოეტის სიტყვა, ჩემი ღრმა რწმენით ვაჟა ეგრისელი ყველგანაა, სადაც პოეზიაა..! რამდენად საამაყოა ის, რომ ვაჟა ეგრისელი ვაჟა ფშაველას პრემიის ლაურეატია, სული ახლახან კი რუსთაველის პრემიაზე იქნა წარდგენილი: – როგორც ახალი მიმართულებათა შემოქმედების ნადდი პოეტურობისა და სასწაულებრივი გრძნობითი ექსტაზისათვის, ადამიანური არსის ძიებისათვის თანამედროვე ცივილიზაციის წიაღში..

და მაინც, „დიდი აზრები გულიდან მოდის, სრულყავი საკუთარი თავი და შექმნი საუკეთესო პოეზიას. მორალი და რიტორიკა ერთმანეთს ერწყმის ბრძენის მისწრაფებებსა და სურვილებში“. – ფრანსის პონქის ეს სიტყვები ჭეშმარიტად მიემართება დიდ პოეტს ვაჟა ეგრისელს.

ვაჟა ეგრისელის მთელი პოეზია უმდერის ადამიანის ბუნებას, სილამაზეს, ადამიანისა და კოსმოსის შერწყმას. მის პოეზიაში „მე“ და სამყარო იღუმალი ძაფებით ექსვებიან ერთმანეთს, ეს ხომ მისტიკური ბუნების წუთიერი ექსტაზია, სადაც ადამიანი აბსოლუტურ სუბსტანციას ერწყმის.

„მხოლოდ ვაჟა ეგრისელს შეეძლო დაუწერა უთვალავი – 50 000 ლექსი, (ყველა ერთმანეთზე უკეთესი... ჩემს წარმოდგენაში ვაჟა ეგრისელს ძალუს გაიმეოროს ვიკანანდური შეგონება მე ვარ ის“. მკოთ-



ხველს შევახსენებოთ ერთ ინდურ სიბრძნეს, სადაც ეს სიტყვებია მოქცეული „საკუთრივ შენს თავს იქით შენთვის არ არსებობს შველა. შენ ხარ შემოქმედი სამყაროსი, ვით აბრეშუმის ჭია, პარკს რომ შემოიქსოვს გარშემო, რა გახსნის? გასჭერი შენი პარკი შიგნიდან და გადმოფრინდი როგორც პეპელა მშვენიერი, ვით თავისუფალი გონი, მხოლოდ ამის შემდეგ იხილავ ჭეშმარიტებას და მუდამ ეტყვი შენს თავს: მე ვარ ის“ (ვივეპანანდა 1996) ვაჟა ეგრისელიც შემოქმედია თავისი პოეტური სამყაროთი, „იქმენ ნათელით“ და „კოლეური ფსალმუნებით მან გაჭრა (ვით აბრეშუმის ჭიამ) პარკი“ და გადმოფრინდა იქიდან, როგორც სახელმაღალი პოეტი, განაუხერხულობის შექმნის მანაც გაიმეოროს „მე ვარ ის“ დიახ, ის არის სწორედ ის“, რომელმაც პოეზიის ლაჟვარდში იხილა ჭეშმარიტება“.

პოეტის ლექსებში საგულისხმოა ისიც, რომ პოეტური ასოციაციები მხოლოდ პოეტური სინტაქსის მეოხებით აღწევენ გამართლებას. დიდი გოეთე ხომ, ცალკეული მოტივებისა და პოეტური ასოციაციების საიდუმლოებას პოეზიის საკუთრებად მიიჩნევდა და აზროვნების ასეთ სახეობას ადამიანური ინტელექტის სრულად განსაკუთრებულ გამოვლინებად თვლიდა. – „განცვიფრება სულის თავისუფლებაა“ (რ. თვარაძე) მას მართლაც მოაქვს სიხარული და სიამაყე იდუმალების შეგრძნებით აღმოცენებული.



პოეტის ყველა ლექსში გამძაფრებული ხმა მოგვეხმის და გვეჩვენება თითქოს იგი, ხმამაღლა საუბრობს არა იმიტომ, რომ რაიმეთი იყოს დაინტერესებული, არამედ იმიტომ, რომ გულის ჭრილობიდან სისხლი ედვრება და წერს ანთებით, რომლის სიცოცხლისაკენ სწრაფვას მხოლოდ ოცნება ასდევნებია, ამიტომაა რომ მის ლექსში ისმის მეოცნების გამუდმებული ფრთების ტლაშუნი და ომახიანი შეპახილიც: „სამშობლოს მტერი ბნელში შეგლისე ვაჟა ეგრისელ.“

პერსონიფიცირებული მზე უერთგულეს მეგობრად, რწმენად და იმედად ევლინება პოეტ ვაჟა ეგრისელს ლექსში, მზე მხოლოდ კი არ ათბობს და ანათებს დედამიწას, და დედამიწაც მხოლოდ დიმილით კი არ ეგებება მას, ამ დიმილშია სწორედ ენით გამოუთქმელი მშვენიერება, პოეზია, რაც დედამიწაზე არსებობას მოწმობს. მზის მსვლელობაში პოეტი ხედავს საოცრებას, სასწაულს ფაქტის სახით და ისმენს კიდევაც სამყაროს ჰარმონიას.

„ელვის დანახვით შუბლშეკრულები,
გადახვეწილან სადღაც
ღრუბლები.

წყალი სწყურია დიდი სიცხით

ტუჩგამსკდარ მიწას.

და მდინარეთა ჩანს ღოღიალი.
ვითარცა ბრუნო,



მოგიზგიზე კოცონზე იწვის
ივლისის მზე და
ზღვის ველური ისმის ღრიალი!“

ვაჟა ეგრისელისათვის სამშობლო ყველაფერზე
მაღლა დგას, ამიტომაც მის პოეზიაში ოსტატურადაა
გამოკვეთილი აზრი ადამიანის უსასრულობისა, ადა-
მიანის სულის, სამშობლოს განუყოფლობის პოეტუ-
რი სახე:

„ცას რომ შევხედავ
გაიღვიძებს ჩემში
უფალი,
და სიხარული მდის ალაზნებად!
მზე, მშობლიური ისე მათბობს
როგორც მათბობდა.
დამის უდრანში,
ვითარც ადრე მიიზლაზნება –
ქედებზე სანთლებ დანთებული
ჯოგი მნათობთა“.

ან კიდევ:

„დღისით მზისა და დამით –
მივსდევთ მთვარის ბილიკებს
და ზეცისკენ ვიურვით.



უფალთან გზას მიგვიკვლევს
ლოცვა –
მარადიული“.

ვაჟა ეგრისელისათვის პოეზია სიცოცხლის ჭეშ-
მარიტი დღესასწაულია, კეთილისათვის თავდადებაა
და მზადაა წინააღმდეგობა პარმონიად აქციოს და
მის განსაკუთრებულობას ამკვიდრებს: „ნეტარ იყ-
ვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ ისინი ნუგეში-
ნის-ცემულ იქმნენ.“

„დღისა და ღამის ყავარჯინიანი
დედამიწა ვარ მე,
და მიგსდევ მნათობს
ჩუმი სიყვარულია – მზე,
ასე რომ გათბობთ.“

ბუნებამ ვაჟა ეგრისელი მხატვრული შემოქმედე-
ბის იმპულსური ნიჭით დაასაჩუქრა. მის მხატვრულ
სამყაროში მოულოდნელად იბადება ემოცია, სადაც
რეფლექსია, სული მოკრძალებით უთმობს პირველო-
ბას ინსტიქტსა და ნებას და ჩნდება უჩვეულო ერ-
თობა, დღესასწაულებრივი პარმონია, თავის მხრივ
რომ შობს სიყვარულს ადამიანსა და რეალობას შო-
რის. პოეტის სიტყვა მზის ოქროს დალალებითაა
შემცული და გვარწმუნებს, რომ ადამიანის ტკბობას



მზის მხერვალებით ბოლო არ უჩანს და ცხოვრების ტალღების ერთიანი განუწყვეტელი ხმაური ჩვენამდე აღწევს, რომელსაც მკითხველი ხარბად შეისრუტავს და შინაგანად მაღლდება.

ეოცნებება პოეტს სიცოცხლის ხემ რომ იშრიალოს დედამიწაზე, გაუა ფშაველასი არ იყოს: „გაუფაქიზდეს სინათლე ცაზე მზესა და მოვარესა“.

პოდა, მზე სულში ეღვრება პოეტს, ამზიანებული გულით შეჭხარის სანუკვარ მიზანს – საქართველოს გამოლიანებას, იხიბლება მზის მხერვალებით ზეციურისა და მიწიერის თანაზიარობით მიღწეული ბედნიერების ნათელი სხივი კაშკაშებს მის პოეზიაში:

„ცის კაბადონზე მზე ელავს,
ვით სააკაძის მახვილი.
და საქართველოს ‘მოყვასებს’
კვლავ ურუანტელად დაუვლით:
ბერი ლუხუმის ძახილი
და ზარი გაფრინდაულის“

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ყველაფერი სიწმინდისა და სიმაღლისაგნ ისწრაფების, ამიტომაც ცდილობს ზეცამდე წვიმის გრძელ თოკებს ჩაეჭიდოს და მთელი პლანეტა მიმოიაროს, რამეთუ, ცხადად გრძნობს იმასაც, რომ:



„სადღაც სიმყუდროვეში
სძინავს მთვარის სასახლეს
და სიზმრებში მთიქბი –
თვალებს ჩუმად ახელენ.
მიწა შიშით ცახცახებს,
რადგანაც მზე ჰკიდია,
ვით დამოკლეს მახვილი.“

და პოეტი ხედავს ცივილიზაციის ათასგვარი საცდურით გონება ამდვრეული ადამიანის სისახტია; ხედავს იმასაც, რომ თანდათან შორდება ზეცას და დედამიწას უახლოვდება დამოკლეს მახვილი. სამყაროს ყოველ კუთხე-კუნძულში იგრძნობა უფლისა და ადამიანის სევდა, მათი საერთო სატკივარი და საფიქრალი, მაგრამ „იყიდება ყველაფერი“.

„უცხოთაგან ნაყიდია
ჩვენი მთა და ჩვენი ბარი,
არავინ ჩანს ხმის გამცემი.
თუმც მშობლიურს ცას ჰკიდია
მთვარე, როგორც დედოზარი“

„დვთის ნებაა გამხელილი ვაჟა ეგრისელის ცით
შთაგონებულ შემოქმედებაში.“ (მერაბ სალუქაძე,
აკადემიკოსი).



„შეუზღუდავია ვაჟა ეგრისელის ფანტაზია. იგი თავისებურად აღიქვამს და პოეტურად წარმოგვიდგენს ბუნების რთულ მოვლენებს... ლექსში „დღე და დამის ფანტაზია“, რამდენიმე დიდებული ფრაზით ჩინქეულად არის გამოხატული ცნობილი ჭეშმარიტება: „დასაბამიდან“ ასეა: გარეთ ცივა თუ თბილა, მზეს ჩაისუნთქავს საღამო, ამოისუნთქავს დილა“.

ხელოვნების, პოეზიის მარადიული წყარო ცხოვრება და ფანტაზიაა.

პოეტმა შეძლო სინამდვილე საკუთარ ფანტაზიაში გაეტარებინა, შთაებერა მისთვის სიცოცხლე).

მზის შვილი პოეტი („მე მზის შვილი ვარ“) თავის მზეს ელოლიავება, წუთებიც და წამებიც კი ვარსკვლავებად აქცია და ალბათ ჩემი ღრმა რწმენით, არ მეგულება, სხვა პოეტი, რომელიც ასე მონიბლოს დიადი სულით, სიმაღლეებისაკენ სწრაფვით. ვაჟა ეგრისელის ისწრაფვის მზის სათავისაკენ, ეს ხომ სილამაზისაპერ, ღმერთისაკენ სწრაფვაა.

ლექსი „ჩემი მზე“ უნიკალურია, ეს საოცრებაა; ბუნების მოვლენების ხატვით პოეტი თავის სულს გვისატავს, რომლის მიღმა თვით ცხოვრებაა. კერძოდ ამ ლექსში მზე ერის ცხოვრების მეტაფორული სახეა..

„დღეს მოვაშორე ღრუბლების
ხავსი,



გავავარსკვლავე წუთი და წამი
და მე,

ჩემი მზე –
ცის ვება ჩარჩოში ჩავსვი
და დავკიდე კედელზე დამის,
რომელსაც ქვეყნად გერგინ ჩამოხსნის.“

ვაჟა ეგრისელმა მხატვრის თვალით შეხედა ზე-
ცას, მზეს, ვარსკვლავებს, რათა სინამდვილის ფაქ-
ტში აღმოეჩინა საერთო კანონი, მოვლენაში აზრი.

ვაჟა ეგრისელის პოეზია, მისი ლირიკა ნათლის
სკეტია. მართებულად ბრძანებს კოტე მელაშვილი
„ნათლისსკეტად გაგვიჩინა ჩვენ ადამიანებს დმერთმა
პოეზია, მზე სხეულს ანათებს ჩვენს, პოეზია კი
სულს. უსინათლოდ კი სხეულიც აკდება და სულიც.“

ამიტომ მისცა ალბათ პოეტმა თავის ლექსების
დიდ წიგნს სახელად „იქმენ ნათელი“... და გავახარე
სიტყვა ქართული“ ამბობს იგი და მართლაც მისმა
სიტყვამ განსაცვიფრებლად გაიხარა და ძოწ-მარგა-
ლიტით დაიფარა...

მოგუსმინოთ ახლა პოეტს:

„ცის ქურაში ქარი აკლავ ყრის –
ღრუბლის ნახშირს
დამკლავებით.
სადღაც დამე მზის ცხელ გრდემლზე



მასვილივით დილას კვერავს.

ტიტლიკანა ვარსკვლავები

მისხდომიან მთვარის კერას.“

პოეტს ოომელსაც ბიბლიიდან ხმები მოესმის დავითის და სოლომონის, მზადად გაიკვლიოს გზა საუფლოსაკენ და იხილოს ნათელი, ტიტლიკანა ვარსკვლავების მიერ გაჩაღებული მთვარის კერა, ეს ხომ სახწაულია სახწაულთა შორის.

პოეტისათვის სიხარული მოაქვს მზეს, მზის გაუჩინარებას კი წუხილი და უიმედობა. „მზე იბანდა ოქროს დალალს, წყალს ისხამდა მუჭა, მუჭა და როდესაც დაიქუხა, მთვარე სადღაც მიიმაღა ზღვას კი სახე დაეჭმუჭნა.“

ეს ლექსი ორიგინალურია, პოეტმა ამ ლექსში სამყარო მოათავსა არა ორგორც მარჯვე ეპიზოდი, არამედ სამყაროს ცოცხალი სურათები დაუკავშირა ლექსის დინამიკას, ამასთან სტრიქონების მუსიკალობასა და თანხმიერებაში ცხადად ვხედავთ სადღაც მიმაღლებ მთვარეს და სახედაჭმუჭნულ ზღვას.

ვაჟა ეგრისელის მთელი პოეზია წვიმისა და მაიც მზის თვალისმომჭრებ ბრჭყვიალში, ნაკაღულის უსასრულო მელოდიაში, განთიადის უმშევნიერეს ზეიმში გვაზიარებს ბუნებას და თავად ერწყმის და ენივთება კოსმიურ ორომტრიალს და ნათლისაკენ სწრაფვაში, კაცობრიობის უნაპირო სიყვარულ-



ში პოელობს პოეტი იმ სულის ჰიპოსტასებს, რათა შეგვახსენოს: „იფხიზლეთ და ყური უგდეთ... მომავ-ლით იძვრიან ქარნი ფრთების იდუმალ შრიალით და მახვილ ყურთ აღწევს კეთილი უწყება.“

და მაინც, დაბეჭითებით შემიძლია გავიმეორო „პოეტმა უსასრულო სამყაროს ხელი მოჰვია და გულში ბავშვივით ჩაიხუტა“ (კოტე მელაშვილი).

ვაჟა ეგრისელში უსასრულობის დიდი გრძნობაა ჩაბუდებული. ის მისი სულის საფუძველია, ყოველ-გვარი სულიერი მოღვაწეობის მამორავებელი ძალა; პოეტი გვახსენებს, რომ ამაოდ არ იღვრება დედამი-წაზე მზის სხივებით განბანილი სითბო და სინათ-ლე: პოეტის შემოქმედების გასაღებად შეიძლება ჩა-ითვალოს ეს ლექსი:

„გიო აპოლონი, ან ვიო პერმესი
მსურს რომ სიყვარულს
გთესდე და ვმკიდე
და სანთელივით ასე დავიწვა,
მოხსენით მზე
და მზის მაგიერ
ჩემს გულს დავკიდებ
და მწამს გაათბობს მთელ დედამიწას.“



და ასე გრძელდება უსასრულოდ მამულისათვის, ერისთვის თავდადება და თავგანწირვის დიადი გრძნობა.

ქართული პოეტური კულტურის უხვი მემკვიდრე თითქოს დაუდევრად ხარჯავს თავის სულის ფსკერში გადამალულ ძეირფას საგანძურს და თავის დიდ პოეტურ შესაძლებლობებში დარწმუნებული თამამად იჭრება კოსმიურ სამყაროში და ახალ მიმართულებას, ახალ გზას უჩვენებს მიწისქვეშა და ცისქვეშა დინებებს.

და მაინც, ვაჟა ეგრისელი შუა საუკენეებს დაუდებული ბერის სიჯიუტით და თავგამეტებით ეჭიდება ქართულ ენას. მისი პოეზიის მთავარი საიდუმლოება ქართული ენის ბუნების ღრმა ცოდნაში ვლინდება. კერძოდ, საოცარი ალლო აქვს ენის შინაგანი, ხალხური ბუნების მიმართ. მისი ლექსთა სტილი გამჭვირვალეა და ლალი. სიტყვა-რელიქტები შუასაუკუნოვანი სიძველე კოლორიტსა და ანდამატს სძენს მის პოეზიას საუკუნეთა განმავლობაში ხომ არაერთი დიდი მწერალი ეძიებდა და პოვებდა უზადო მარგალიტს – ქართული ენის ახალ-ახალ წახნაგებს, ვაჟა ეგრისელმა შეძლო დედაენის მანამდე უხილავ წახნაგთა სიმშვენიერე და კლვარება წარმოენია.

ცის მნათობმა მზემ მთელი სამყარო შექმნა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. მის ლექსებში მზის დიმო-



ლი და სრული პარმონიაა, ადამიანისათვის მზის მარადიულ მოძრაობაში ჩაქსოვილია იდუმალი ბრწყინვალება: „მზის დამწვარი ფრთები და ცის დათხროლი თვალებით, მიღმეთიდან მოფრენილ დღეებს უთხარ არული, თაგზე რომ დაგბრუნავენ საუკუნის ქუნილად. იდუმალ გხმობს სამყარო – მღვრიე და ასტრალური და ერთად ჭვრებ შორეულ ხილულსა და უხილავს“ და მაინც სილამაზე ამ ლექსის თვისებაა. აი ხორცქმნილი გხინა ქართველობისა.

პოეტის ენა მოქნილია, ძლიერი, როგორც ხმლის დაკვრა და მაინც ერთობ რთულიცაა ამ ლექსის პათოსის საიდუმლოების ამოცნობა.

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახუაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პერიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ბეთლემი

“თვერგი რბის, თვერგი დრიალებს”...
მიუხედავად ხმაურის,
ბეთლემიდან ხმა მომესმა:
დიდი “გუდანის ჯვრის მკაფრე”
გლახუა მეგრელაურის.

1977

**აეროლითებს,
 აისპარბებს,
 გათოლითებს**

შორით ჩანან მწვერვალები,
 სასწაული –
 თვით ბუნების
 და სიმაღლე ათოვთ დიდ მთებს,
 ვით “კოლხური ფსალმუნების” –
 აეროლითებს¹,
 აისბერგებს²,
 ბათოლითებს³.

1994

¹ აეროლითები (ბერძ.) ქვის მეტეორიტები.

² აისბერგები (ინგლ.) უზარმაზარი ყინულის მთები.

³ ბათოლითები (ბერძ.) – უზარმაზარი გრანიტის მასივები.



ლოდინი

შოთარს... დეფოს თუ კოლხეთის
სამისნოდან ხმა ისმის –
დიდ მენცარი* ელიას:
– შენ ხარ მომავალი და...
სხვას ნურავის
ელიან!

1956

* მენცარი (მეგრ.) – წინასწარმეტყველი.



ეხლა სხვაა...

ეს სამყარო,

ხელისგულზე გიზის,

როგორც ჩიტის მართვე.

შენ კოლხი ხარ...

და მოსული არ ხარ ურიოთ.

მაშინ თურმე,

როცა იშვი,

ვით მაცხოვარს,

შენც მოგართვეს –

“ოქრო, გუნდრუკი და მური”.

1974



ნოსირი

წარსულიდან მოსული,
გიღაც ყვება ლეგენდას:
— აქო, უხსოვარ დროში,
ისიდას¹ და ოსირისს²
ჰქონიათო ქორწილი;
უწოდაო მიტომ ხალხმა
აქ, ამ ადგილს
ნოსირი.

1959

¹ ისიდა (ბერძ. ეგვიპტ.) — ეგვიპტის ყველა ფარაონის დევოცენტრიკი მშობელი.

² ოსირისი (ბერძ.) — მცენარეულის, მთვარისა და ნილოსის ღმერთი.



ქრისტეს შობამდე

ასკდებოდა პონტო კოლხეთს,
 კოლხთა მოთქმა გაისმოდა
 კიდი-კიდით...
 ცა ბრაზობდა... და სულ წვიმდა...
 თუმც წარმართთა სალოცავად
 მდგარი ჭყონდიდის¹ –
 მაღალ ხეზე,
 მაშინაც კი ბინადრობდა
 სულიწმინდა.

1996

¹ ჭყონდიდი (მეგრ.) – დიდი მუხა.



მზე როდესაც ზღვაში ჩავა,
როცა მწერი ალბატროსის
დიდ ფრთებს გაშლის,
და გაყვება ბილიქს ელვის.
მაშინ მთვარე მოლივლივე
ცის ლურჯ ტბაში
გამოჩნდება ისე, როგორც
გედის ყელი.

1992



რადგან სიყვარულის მადლი,
მღელვარ ზღვას და
ხმელს ასხურე!
და სიძულვილს კვლავ უყელქ!
ხარ უფლისგან –
ხელდასხმული,
სამებისგან განუყრელი.

1988



მრთი სშრვილი

საუკუნეთა კლდეს მოვანგრევდი,

ფაფარაშლილი მოვდიოდი,

როგორც ენგური.

და სურვილი კი,

ერთის გარდა არ მქონია,

ქვეყნად მეტი მე:

კოლხური მოთქმით,

მხოლოდ მეგრულად,

რომ ნაბოლარა*,

დედასა და დებს დავეტირებ.

2011

* ვაჟა ეგრისელი – ნაბოლარა, მეცხრე შვილია (შვიდი
მშა და ორი და).



ააოპალიფსშრ მხეცთა ნაშინერი

ეს დამპყრობელი სამყარო,
 ათიათასჯერ მაქვს გაზომილი
 ფიქრებით,
 მეტრებით და
 არშინებით.
 ცა შეენის ცისარტყელას არშიები,
 მე კი დედამიწაზე მაშინებენ,
 აპოპალიფსურ მხეცთა
 ნაშინერი.

1984



ჭერმაღალი ცა კოლხური,
მზეს და ნათელს
ობლად წვიმდა.
ჩანდა ყოფნა იაფივით.
და “ფსალმუნებს” –
ყოვლადწმინდა
სული შენი მიაფინე...

1977



გულზე ხელებდაკრეფილი
ზღვა კუბოში ასვენია.
სადღაც ქარიშხალი ანცობს.
ქვეყნად არგის არ სმენია,
რაც შენ ზე-ცის გონმა
გამცნო.

1975



პგელი პოლნეთი

გადავიწყების ჭიშკართან –

უიმედოდ მდგარ ძველ

კოლხეთს,

გაქრობის შიშიც აჭამეს!!!

აშ უვაჟ-უეგრისელოდ

მის უსამანო ლურჯ-ცაზე

ჩიტიც ვერ გადაიფრენს და...

ყვავიც ვერ გაიჭანებს.

1997



1992-2012

“საქართველო მიღიონზე მეტმა
ქართველმა დატოვა!!!”
გაზეთებიდან

ყოფნის გემი იძირება
და გარბისართ,
კით ვირთხები!
რადგან რწმენის მარცვლული
გერ თესეთ!
სიყვარული!
რად დატოვეთ,
გეკითხებით!
კითარც ქრისტე ეფესელთ!

1992-2012

შპონ-ძმა

მთად არა,

ბარში გაზრდილი,

სადაც ჭირია, იქ დგახარ!

სად მგელი “ბალახს”

უძოვს ოხას!

შენ,

ეგრისელო, ვით ჰგავხარ,

ვაჟა-ფშაველას “უძოხს-ძმას”.

2016



N-ს

(ქართული პოეზიის რაინდს,
ქართული კულტურის დესპანს,
ღირსების ორდენის კავალერს..)

სოფლიდან “ჩამოთრეული”,
შენ გლეხის შვილი –
“ტეტია”.
არ ლამობ “შინ” დაბრუნებას!
და რაც გარგუნა ბუნებამ,
ისიც –
ათასჯერ მეტია!

2004



გაჟავ! –
მეგ ჰელიოსის

ეხლა შენთვის ერთია –
ფაზისი და
ნიღოსი.
სივრცეები გერთვიან,
სადაც გინდა იღოცე...
ზუ-ცა შენი ღმერთია
გაჟავ! –
ძეგ ჰელიოსის.

1976



ქალღეგელები

თაგს აფარებენ შოორეულ
 ათასწლეულებს ნისლიანს,
 ის წინაპართა ლანდები
 ერთიან უნდა ავყარო,
 რადგანაც მივიწყებულნი –
 ჩემი ხორცი და
 სისხლია,
 ვითარცა ოქროს საწმისი,
 ვით ცხრა მუხა და
 ცხრა წყარო.

1977



ცისკენ ხელებაპყრობილი

დედა,

საღამოს და დილით,

ფიცულობდა ღმერთს და შენს მზეს,

და ვით სვიმონ ღვთისმეტყველთან –

ღვთაებრივი ხმათა სხივი

მაღა “გარდმოხდება”

შენზე.

1960



მირიადი წელია —

ცა მთიებით,

მიწა სახლით ირწყვება,

და ივსება მოთმინება იობის,

ერთმა,

ღმერთმა უწყის

კაცობრიობის

ისტორია, რომ პონტოს¹ და

ჯურჯანის² შუა —

იწყება.

1986

1 პონტო — შავი ზღვა

2 ჯურჯანის — ქასპიის ზღვა



ვერისცვალება

საწუთროს ზნე ყოფილა:

ფერი უნდა იცვალო!

სიმართლისთვის

ტალახთან

ერთად ტყვიას გესვრიან!!!

და...

შენ, დიდო პოეტო, —

ამაღლდე, ვით მესია,

უნდა გარდაიცვალო!

1986



მთები და მდინარეები

მშობლიურ მიწას ტოვებენ
და ჯოგი მდინარეების
გარბიან სადღაც
ბდავილით,
გზებს მიჰყვებიან ნისლიანს...
მოქბი კი დგანან ამაყად
და ფეხს წამით არ
იცვლიან!

1970



მთიები

ღამ-ღამით ცად მთიები,
დღეთა სიბინძურისგან,
დაყრილ ნაგავს წმინდავენ –
ძველი წესით,
ადათით.
ადამის ძის სული კი,
ისე, როგორც წმინდანის,
მძორს ტოვებს და
ცად ადის.

2012

საწუთოის გზაზე მიხვალ დაღლილი
 და დღე ყოველი დიდგორად
 და გიჩანს მარტყოფად
 (რომელიც ადრე ოქროდ გებარა),
 ყოფნა რას გიზამს,
 თუკი არ ყოფნა.
 ძუძნა ძაღლიგით,
 უპან თუ არ წამოგეპარა.

2016



პონტოს ზღვიდან ამოსული,
უსამანო სივრცეს ერთვი...
ოქროდ გმოსაგს –
მზის აურა.

ხარ პოეტი და...
ვით ღმერთი –
ლაპარაკობ იგავურად.

1989



მოლოდინი – “ის”

მთიები –

დამის ფესვია,

ვითარცა სწამდა ნოვალისს*.

ხსნად და იმედად მომავლის –

პოეზიის დიდ მესიად,

აუცილებლად მოვა “ის”.

1970

* ნოვალისი – დიდი გერმანელი პოეტი.



შოორეული ხმები გესმის –
მუსხის-მოსხის და
მესხების,
სამშობლოზე ყურმიდებულს.
შენ,

რუსთველის ნაშიერი,
ფარულ სიბრძნეს ესესხები –
თვოფანე დაყუდებულს.

1987



ცეცხლის ქვეყნიდან ჩამოსულები,
 მისი მზეები ქვესკნელს
 ატანენ!
 ჩვენ კი ზესკნელი მან აგვიყვავა,
 – სწორედ სიცოცხლეს,
 კითარც ბატბანი,
 დღეების ბაწრით –
 შესაწირად –
 სიკვდილთან მივყავართ

1981



(ვარიანტი)

სიყვარულის ლუსკუმა ჭიდან,

შენ,

სიხარულის ოწინარით, —

(მოლხენილი და მომცინარი

ქართული ლექსით).

უპვდავების ამოგაქვს წყალი

და სიყვარულის მარად

მწვანე ხეს

კვლავ ურწყავ ფესვებს.

2010



1956 წლის ზამთარი

— ყინვით გალესილ ცის ძველ ჭერიდან,
 ფანტელები თუ
 ცვივა ბათქაში?! —
 ვიდაც კითხულობს ენამჭევრი-და...
 შენ გიხარია,
 რაღაც პოეტურს,
 ხედავ გლეხებაცის ალალ ნათქვამში.

1956



მეხი აშინებთ წვიმის კაცუნებს,
დრუბლის ტომრებს რომ
ელგით ნასკვავენ
და კიდებენ დამის ლავგარდანს.
იქ უხილავის ხელმა
ერთი ციცქნა ვარსკვლავი,
მოსწყვიტა ზეცას და...
გადაპარგა.

1970




საიდანლაც კვლავ ქონავს
ცივი სუნთქვა საგების...
და ზოგ-ზოგნი ცრუ კოშკებს
ეიფელთან აგებენ.
ვითომ ვერლენ-ბოდლერის
ნიცშესა და
ვაგნერის –
სულში “მითოპოეტურ” –
პარადიგმებს აგებენ!!!

2005



ხმა “კოლხური ფსალმუნების”
შენ – ნათელს გვენს,
“სხვას” ამუნჯებს!!!
ზოგს გულს უთბობს...
ზოგს აციებს!
მიწად არა!
ცად აუნჯებ –
უფლის ინიციაცებს.

2000



ისე, როგორც სააკაძეს,
მარტყოფი გხმობს გამთენია!
რადგან იცი,
ვით დავითმა,
ვისმა თავმა სად იგოროს,
ყველაფერი ნათელია...
ემზადები სადიდგოროდ!

1986



ხეპა

ათასწლეულების მერე,
ესმის ფაზისსა და
ნიღოსს,
მისურს,
განგს და გვადალკივირს –
ხმა,
რომელიც ელგას კივის:
და მომავლის ცაში მიჰქრის:
– შენ პოეტი კი არა და,
– “მითიური ქვეყანა ხარ,
ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქიო”.

1966



(ვარიანტი)

ამ საწეოდოში რადგან მოხვედი,
უნდა წახვიდე!
წვეთი იმედის,
აღარ არსებობს აწ,
აქ დარჩენის.
დარდად მიგყება “მტრობა”
კოლხეთის,
და “მური” ხორგის,
ხობის,
დარჩელის.

1993



აბა ულა!

არყოფნა ქვლავ მისდევს ყოფნას
და ქვლავაც ხტის გვარზე კვიცი!
ბნელი-ნათლის არის ასლი.
მე სიკვდილი – კართან მიცდის,
“აბა ულა”! –
დროა წასვლის.

2016



0სეპ მალხვაი

იხსნება ათასწლეულთა დაკეტილი
დარაბები,

დავიწყების ყინული რომ ალხვებიან.

და...

“ჯვარის მონასტერის” დამცველი
არაბები,

მართლა, არაბები კი არადა,

გაარაბებული –

ქრისტიანი მალხებია*.

1998

* მალხები – პონტოს სანაპიროზე მცხოვრები კოლხი (ქართველი – “გურჯი”) ტომი, რომელიც მეფე ვახტანგ გორგასალს (მეხუთე საუკუნის სამოციანი წლები), იგრუსალიმის “დაპყრობის” შემდეგ “თავის სპიდან” (40 თვალი) “ჯვარის მონასტრის” დამცველ გუშაგებად დაუტოვებია წმინდა მიწაზე.

ხეს

(ვარიანტი)

შტერად დამდგარ სამყაროს –
ჟამთა უღრანებიდან
ქრუანტელად რომ უვლის,
ალბათ იმ ძუ მგლის ხმაა,
ძუძუს რომ აწოვებდა,
რემუსსა და
რომულუსს.

1994



მზეთამზის ძალით და კარნახით,
ვიდაცა სამყაროს ააღებს
და...
ხმობს საშველად
ადამიანს.
“ოქროს საწმისი” და
“გრაალი” –
ვითა “კოლხური ფსალმუნები”,
ზეციური რწმენის მაღანია.

1966



გარსპოლავილება

სადღაც ზესკნელში ისმის ხმაური –
ცამ ელვას მეხი პვლავ
დაუმგზავრა
და შიში ავსებს უფლის სარეცელს.
ლამე იფარებს მთვარის
მუზარადს,
თავზე ვარსკვლავი რომ არ დაეცეს!

2010



მეგრელ-ჟავახ-ზავები

პონტოს სანაპიროზე –
 ორი ათასწლეულის
 იქით,
 კვლავ მეზმანება
 და მესმის საუბარი:
 მეგრელ –
 ჭანებ –
 ზანების,
 მუსეებ –
 მოსხებ –
 ოუბალის.

1975



დღეები კვლავ დამის გზით,
სადღაც ჩუმად მიდიან
და მზის თვალებს ახელენ.
მიწა შიშით კანკალებს,
რადგან მთვარე ცის თაღზე,
ვით დამოკლეს მახვილი,
ისევ ისე პკიდია!!!

2011



20 000

“კოლხურ ფსალმუნებად” ესხა
ვარსკვლავები
ცას –
ოცნების.

თუმც გიჭერდა ჟამთა ყულფი,
მაინც ახდა ნება უფლის –
ქვეყნად ბრძენთა
გაოცების.

1980



სარისა

სახლში გისხედან ლექსები,
მსგავსნი მზისა და
მთვარისა
(სტრიქონები კი მოკლეა!!!)
გსურს,
მაგრამ ვედარ ამსგავსებ,
მაკედონელის “სარისას”*.

1987

* “სარისა” – მაკედონელის შები, რომლის სიგრძე 5,55 მეტრს შეადგენდა.



ართემილეს ტაძარი

სხვათა შური ძალას მატებს
 და თავისთავს აძალებს, —
 ზოგ პოეტს,
 ვით ჰეროსტატეს,
 სურს გადასწვას არტემიდეს:
 — პოეზიის ტაძარი.

2001



გასაფარისძა,

გაალდა

პონტოს ზღვით ამოვიდა,

ელვის ბილიქს აუყვა

და უდრუბლო ცის თაღზე

ვითა მეხი გავარდა...

და “კოლხური ფსალმუნი” –

გასაწმისდა,

გაალდა.

1996



ერგნეთი...

სადახლო...

ჩვენია, მაგრამ სხვა სახლობს!

რიგში დგას ოტობაია და

ქვიტირი...

თუ ასე გაგრძელდა,

მალე მოგიკვდებათ

საქართველო,

მერე დაჯექით და იტირეთ...

1979



პატები

გაფრინდა ერგასი...

და “კოლხურ ფსალმუნთა”,

ზრდაა და მატება...

და აი, ამიტომ ცხადშიც და

სიზმარშიც –

შეგჭამეს შენ შურის კატებმა!!!

2016



პეტასიც და გუგუვალიც

შენს კოლხეთში,

პონტოს პირას,

ვარსკვლავებით დახურული

ცათამჯენი აიშენე,

რომ ავარდა უცებ ალი.

პოეზია არის შენი –


პეტასიც¹ და

ბუკეფალიც².

1980

¹ პეტასი (ბერძ.) – ფრთოსანი მერანი.

² ბუკეფალი (ბერძ.) – მაკუდონელის ლეგენდარული ცხენი.



ჩემი დიდი წინაპრების,
ძნელი არის გზათა პოვნა,
რადგან ათასწლეულების –
გადურეცხავს ქარს და წვიმას...
ო, ვინ იცის,
ზღვად დაღუპულ
კოლხთა ხსოვნას –
ატლანტიკის ფსკერზე სძინავს.

2003



ALBERTSU

გაგპასიონის მთები

ფსკერი ყოფილა კავკასიონი –
მღელგარ ზღვათა და
ოკეანეთა...

ჰა, მთები მათი ნასახლარი
და ნაბუდარი.
მიტომაა, რომ ახლაც მოისმის –
კავკასიონის მთიანეთში
ზღვათა მუდარა.

1983



გადავიწყების კუნძულებიდან,
პონტოს ნაპირზე ქარმა მოდენა –
მოხეტიალე სიტყვა “ბოშური...”

მერე...

“კოლხურმა ფსალმუნებმა”,
მოუღოდნელად,
თვალი დაუყენეს მტერსა და
მოშურნეს!

1996



ნარიყალა

ზღვადმომსკდარი მტერთა რისხვა,
ჩვენს ციხეებს გარს უვლიდა,
ვნება ჰკლავდა მათ წახდენის.

და...

ბე,

ქართლის წარსულიდან –

ხმები მესმის –

ზარგამხდელი.

2005



კოლხურ მთვარიდან მოსული –
ადამკადმოსს¹ რომ ემსგავსე,
მას შემდეგ წელი ერგასი²

გავიდა...

დამემ ცის თაღზე –
ნათელი ბევრჯერ ასხლიტა...
შენი ყოფნა და არყოფნა
არიან პელავ დანასისხლად.

1987

¹ ადამკადმოსი – ციხიერი ადამიანი.

² ერგასი – 50

ილორი, ლიხნი, მოქვი, გუდაგა

მომხდურმა კოლხეთს როგორ შეჰქედა,
რომ ხელჭყო ბზიფი,

გაგრა,

წებელდა!

მაგრამ მომავლის მოიმედეა:

ილორი,

ლიხნი,

მოქვი,

გუდაგა.

და... ცისქვეშ ლოცვად კვლავ დგას
ბედია —

ქართველთა მტერთა გასაგუდავად.

1999



მამრეს მშხა

ათასწლეულთა იქით...
მიღმიდან,
ცხენთა თქარუნი ისმის პუნების
და ასე რბიან უაღვირო
საუკუნენი...
მაგამ ჟამთასვლა –
“კოლხურ ფსალმუნებს”
ცის ფილთაქვაში ვეღარ დანაყავს!
რადგანაც იგი –
“მამრეს მუხაა¹”,
ქებრონის² არა,
პონტოს პირას –
მდგარი ამაყად.

1971

¹ “მამრეს მუხაა” – ბიბლიური, უხუცესი ხე (5000 წლის) დედამიწაზე.

² ქებრონი – უძველესი ქალაქი პალესტინაში.

გერდიძეთი

შენი მტერი და მოშურნე

კველა —

იქით გზას გაუდგა,

აღარ დარჩა მგონი მეტი.


ეხლა,

ალბათ,

“იქ” უსმენენ,

მწერალ პანგებს დონიცების.

2011



1993

ლიპარიტებს,
ბალვაშებს,
არ ჩამორჩნენ არც სხვები!!!
საიდანდაც “კანონი” ჟონავს
ბექა აღბუღას:
ერთად!..
გათითოყაცება,
საქართველოს დაღუპავს.

1996



რწმენა

გაზაფხული ბუჩქის ძირას,
კვლავ სილურჯეს ათოვს იას.
ზეცას მოსავს ფერი მარჯნის.
შენ დაჯდები უფლის –
მარჯვნივ!
რწმენა – შენი არტორია*.

1972

* არტორი – მაკურნებელი პერი.



პატნის სიმაფი

ნეტარება სურთ —

ლოცვა ესაფეხუროთ

და ღვთის ტაძარს ელტვიან —

იმქვეყნიურ უკვდავების მდომელნი!

შენი ლექსი,

ჩემო,

პატნის სვეტია,

მლოცველთათვის ყოვლად მიუდგომელი.

1979



ჭითაგვალა

ასწლეულებს, ვით ცხვრის ფარას,
 დავიწყების გზით მიღალავს...
 ხელოუპყრია მზე,
 ვით ვარცლი –
 ლოცვად დამდგარ ჭითაგვალას¹,
 რომელიც ტრფობს
 ტობავარჩხილს².

1983

¹ ჭითაგვალა (მეგრ.) – წითელი მთა.

² ტობავარჩხილი (მეგრ.) – ვერცხლის ტბა.



800 ანდრიას

ჯერ ადრეა!

დუმან მთები

და სიმაღლეს გოდებენ...

დრო მოვა და უფლის ნებით,

შეგრაცხავენ წმინდანად,

ვით ანდრიას –

ქვეყნად პირველწოდებულს.

1976



ტბები

გიხმობს,

გეძახის “ფერადი”

ტბები წვიმებით ვარცხნილი,
სულ სხვა იერით,

აურით:

დასავლით – ტობავარჩხილი¹,

აღსავლით-აბუდელაური².

1982

¹ ტობავარჩხილი – ვერცხლის ტბა (სამეგრელო).

² აბუდელაური – მწვანე, ლურჯი და თეთრი ტბა (მთიანეთი).



ოქროს მონეტა

გვიან გაჩენილს და
ნაბოლარას,
ეგონათ ჟამი დაგიმონებდა!
მაგრამ შენ,
მთვარის სარკედმდომელმა,
ისე,
ვით დიდმა მაკედონელმა,
მოსჭერი შენი ოქროს მონეტა.

1992



ღამე მოვარის მაგიდას
უზის –
დღის მოლოდინში.

ღრუბლები კი წვიმების
ძაფებს,
წუმად ნასკვავენ...
ზეცა ელვის შამფურზე
აგებს ცვრიან
ვარსკვლავებს...

2000



ხორგაში

მივეღ...


დარს პირი არ უჩანს,
რაც ღონე აქვს და ძალა,
ცა სისპეტაკეს ბარდნის...
— არ წახვიდეო ქალაქს,
შიუკასთან ჩამებდაუჭა
პერანგზე —
ეპალ-ბარდი.

1958



ესაა თურმე კაცის ცხოვრება:
 ყოფნა-არყოფნა,
 ჭიდილი ორთა,
 კბილების ღრჯენა შვენით, ვით ტყიურს.
 კართან სიკვდილი მშვიდად სცემს
 ბოლოთას,
 სურს გარეთ ჩუმად გამოგვიტყუოს.

1998



ხობისწყლის პირას

აშ მივიწყებულ პირას ჭალიდან –
აფრინდა ხსოვნის
პატარა ყანჩა...
მზე ჩადის სადღაც,
და სიგრცეს ნაღმავს.
გზივარ ნაპირთან,
არავინ არ ჩანს,
მაგრამ მე ვიცი, ვიდაც მელის
მდინარის გაღმა.

1981



დღე და დამვ

საბნად ოქროს ცა ახურავს –
 გარსკვლავებით დაწინწკლული
 და ბალიშად უდევს მთვარე –
 დამეს –
 და დღის მოლოდინში
 თვალში შიში უელვარებს.

1957



დგას ბრაალის საშვე თასი

მკლავს წყურვილი ზე-სამყაროს –
ფიქრის მწვანე სულიოთ
მოვლის,
სად გრაალის სავსე თასი,
დგას და სიხარულიოთ გავსებს –
გალას “ცით” და
შოთას “მოღიოთ”.

1984



თუთარჩელა*

აქილეგსის ფარის ტოლი
მთვარე დაცქერს ხობს
და დარჩელს
და სიშორეს ერთვის გული,
დამის სახეს –
აღარ აჩენს
ცა მთიებით შეთრთვილული.


1960

* თუთარჩელა (მეგრ.) – თეთრი დამე.



შენი “კოლხური ფსალმუნები” –
სოდომ-გომორიდან
გადმოსული,
სხვა ცეცხლია და სხვა ალია!
ქრისტეს “გამოცხადების”
მომღლოდინე –
“ოქროს საწმისი” და “გრაალია”.

1993



შენ ცასა და მიწას შუა,
 ფერად ცისარტყელების
 ოქროს ხიდებს აგებდი,
 არა თხმელის ბოგირებს,
 ამიტომაც –
 შენს “შეში”,
 ეშმა ვერ იბოგინებს! –
 საიდანდაც ხმა ისმის –
 დიდი ფსევდო-ლონგინეს.

1987



ტაო-კლარჯეთში

მივიწყებულ ციხე-კოშკთა
დაბზარული
კედლებიდან –
ხმები ქონავს მოკვდავთა:
– კლარჯეთის და ტაოს მთები –
სულ ოქროთი ნაჭედია ოპიზრების,
ვითარც ყდები –
“ოთხთავთა”.

1997



კათედრალუბი

მძვინვარებდა ქარიშხალი...

და უძლებდა ქინქლასავით

შემოსეულ მტერთა ურდოს:

ანჩა,

ბანა

და ოშხანი,

აწყურ-ტბეთი და კუმურდო.


2012



ქარიშხლის მერვ

ვით თითები მიცვალებულს
მკერდზე, ისე ასვენია
ზღვას ნავები
(ობოლ ზვირთთა ისმის გმინვა...).
დამეულ ცას აბრმავებენ –
შოორეული გარსპელავების
ოქროს სამაჯურთა ბრწყინვა.

1957



ქალდეური ნათელი

კოლხეთს,

ქაოსიდან იშვი,

მერე ჩამოფრინდი მზიდან,

მიტომ ფერი გადევს მგლური,

შენ უჟამო უამი გზრდიდა

და...

ნათელი ქალდეური.

1977



გოლუშრი ფსალმუნები

კოლხეთიდან მოფრენილი,
ნაშიერი ზღვის და
მზის ძის,
უფლის სიყვარულით გმოსეს...
და შენც “შენებს”, —
წიგნი სიბრძნის
უანდერძე, როგორც მოსემ.

1969

ჰელიონის მე

მოციმციმე ვარსკვლავები,
 საფლავებად ჩანს გმირების...
 მე კი ჰელიონის¹ ძე ვარ!
 და არც მითრა²,
 არც ოდი³ ვარ!
 ცას და მიწას შუა გაჭიმულ –
 ცისარტყელის ბაგირებზე
 გავდიგარ და
 გამოვდიგარ!

2011

¹ ჰელიონი – მზის ღმერთი.

² მითრა – სინათლისა და სიმართლის ღვთაება.

³ ოდი – მთვარის ღმერთი ბაბილონურ პანთეონში.



70

შვიდიათეული მიიღია,
რაც კი უცნობ სტუმარს
წეთი-წეთზე
ვეღი და...
მან აღარ მომაკითხა!
და მტრებს სიცოცხლე გავუმწარე!!!
ასაკით?! –
ჩემო, ნედარ მკითხავ,
ვაჟასაც და გალასაც გავუსწარი.

2006



როცა გითხერეს უეცარი ჩემი

წასვლა,

ჩემო,

ლამის შეიშალე...

წუხილის ზღვაშ შეგიერთა!

ცრემლები ძირს არ დაღვარე,

დარდის დარდით შეიმშრალე,

რომ ეცხოვრა შენთან ერთად.

1987



დაიბადები?! –

უნდა მოკვდე! –

გამოტანილია განაჩენი,

მიტომ სამყარო შეშლილია...

სიკვდილის სულ აღარ

გეშინია,

შენ გეშინია აქ დარჩენის!!!

2004



ჩამომჯდარი ზღვისკარად,
ლამე უგუნებოდ
წერს ვარსკვლავთა
ნოტებს...
წესი არის ბუნების:
ერთხელ დაბადებული,
ერთხელ უნდა მოკვდეს!

1993



მშობელ მიწიდან გამოპარული,
იქნებ ცამ სულაც
არ მიიკაროს
და არგინ დახვდეს კარის გამდები!
მაგრამ სულს მაინც,
როგორც იკაროსს,
ახრჩობს წყურვილი –
ცად ამაღლების.

1979



ელვა არა,

ის არის!

ვინც დაეძებს ნიადაგ –

ხმას მთიებში გალურსულს

(თუმცა დააგვიანდა!)

მაინც ის ქაოსიდან

მოაჭენებს მზის ფრთიან

მხედარს –

აპოკალიფსურს.

2011



ეამ ჭირვების,
შენთან ისევ,
სიდიადე მოდის ზევსის
და ის გაძლევს სიმამაცეს,
პელაზგების ნაშიერის –
აქილეს და
ოდისევსის.

1988



ფაზისით და ენგურით,
მტკვრით,
არაგვით, იორით,
სახენაიარევი...
(სადღაც აღარ რჩებოდა ქვა-
ქვასა
და კენჭს-კენჭი).
ქართვლის მიწა, ვითა ჰგავს –
ხევსურს სახედაკეჭნილს.

2005



ხომალდი – “კოლარული გარსპლაგი”

(1837 წელი)

ზღვა ღელავს და...

საქართველოს

და სირცხვილის ღრუბლებს
აშლის...

შიში აბრიალებს თვალებს.

და... მაიკოს¹ გარსკვლავი კი
ჩაქრა მაშინ,

როს ხელმწიფე ნიკოლოზის –

“მნათ-ხომალდი” –

როს მოადგა რედუტ კალებს².

1965

¹ მაიკო ორბელიანი – ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძაშვილი (დედის მხრიდან), ულამაზესი და უსათნოესი ქართველი ბანოვანი, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ძალად გააუპატივრა 1837 წლის 27 სექტემბერს, საქართველოში სტუმრობისას.

² რედუტ კალე – დღვენდელი ქულევი.

სადღაც აღსავლის ცაზე,
ქრება ვარსკვლავი ისნის,
მომსწავლებელი ავის.
და საიდანდაც ისმის:
— სად განისვენოს სულმა,
სად მიიდრიკოს თავი?

2003



შენ კი შენა ხარ
ათას ნარჩევი!
სხვა ბევრი პავლე
გადიქცა სავლედ!!!
არაუშავს რა...
ოსინი წავლენ...
შენ აქ დარჩები...

1995



უღვთოდ მივიწყებულ ლანდებს,
 ოოცა ხსოვნის პურ-მარილი,
 მოწყურდებათ
 და მოშიგათ,
 ჭურთან მივლენ და ელიან:
 ჩაფხს,
 დოქსა
 და ორშიმოს.

1994



1795

უსპეტაკესი სისხლით ქართველთა –
უცებ შედედდა სისხლი
მეტეხთან!
დღეები ზვირთებს არ აგელვებენ.
თბილისს ატეხეს რეკვა –
ზარებმა...
ისმის ყიჟინა არაგველების,
ალბათ კრწანისში მიეჩქარებათ.

1967



100 წლის წინ

“ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

ი. ჭავჭავაძე

საქართველო მომხდურს წელში
ვეღარ გაუდუნია,
მაგრამ ახლაც იმას ნატრობ,
რასაც ადრე,
ასი წლის წინ –
ნატრობდა ლელო ლუნია.

1963



იარა რომ არ ჰქონდეს,
ქართლში აღარ არსებობს,
არც მთა,
არც ტბა,
არც სერი.
საქართველო მიაკვავს –
ცას –
ელვის ხმლით დასერილს.

1983



მეცნისტოზელი და ლუცივერი

სიცოცხლის დამეულ მოსახვევთან –
 ძვ-ცდომილს არყოფნის
 უცდის ფერი
 და ვერ უშველის ქრისტე და ბუდა,
 რადგან მასში –
 ერთად ბუდობს.
 მეფისტოზელი და ლუცივერი.

1978



“ან”-ი და “ენ”-ი

მეუფე ხარ სამყაროს,
— თავი შენი შეიცან!
ქალდეური გშვენის ცა...
და ორივე შენია —
“ან¹”-იცა და “ენ²”-ცა.

1966

¹ ან — ცის ღმერთი.

² ენ — წყლის ღმერთი.



၆၀၅၃၁: အေဖြတ်၊
ဝါဒကုပ် ဗာ ဝောင်

ကရိခိုင် ဖျော်များနှင့် ပာစ္စာ လာနောက်၊
ပွဲချော်များ နှင့် ပြောပြောများ
နှင့် မာဝါဒ ဒီဇိုင်းများ မာသောက်၊
ရောက်ရ အနောက် စာလောင်းများ
အေဖြတ်၊
ဝါဒကုပ်
နှင့် ဝောင်
မာရောက် မာဝါဒ ပြောပြောများ.

1976



ზეცა გეწადა სამარედ –

მორწყული

მნათთა ვარდებით.

რადგან სიკვდილი ორლესულს,

სულ მოსაკლავად გიქნევდა...

სადაც შენ დასაფლავდები –

ყველგან მთაწმინდა იქნება!

1961



ოქროს მშვილდ-ისრიანი,
ჩანგზე გიზის ამური
და ვერასდროს მონისლავს

დრო —

შენს “კოლხურ ფსალმუნებს”,
ვითა ისო ზირაქის “სიბრძნესა”

და...

“იგავებს” დიდი სოლომონისა.

1994



მიწას არა,

ცას ყვარობ

და ფეხდაფეხ გაქვს მოვლილი...

იარაღი სურს აჟყარო

სიკვდილს,

რადგან, ვით ტარიელს

გეფხისტყავად –

ტანზე გმოსაგს ზესამყარო,

ვარსკვლავებით მოქსოვილი.

1977



ვერც უქამო ქამთა სრბოლა
 და ვერც წუთისოფლის წვიმა,
 ვერ გაატანს ყვავს და ყორანს
 და... მიუჩენს ცაში ბინას:
 “ოქროს საწმისს”,
 “კოლხურ ფსალმუნს”,
 “სახარებას”,
 “ყურანს”,
 “თორას”.

2001



მგოსნის მზერა —

სულში ჩაბრუნებული,

აი, ახლა სინათლედ

დედამიწას რომ უვლის,

ჭვრეტს შოორეულ სივრცეებს —

რიცხვით —

მათემატიკურს,

გათვლით —

ასტრონომიულს.

1967

შენი არა,

უფლის ნებით,

ამირანტის შავ მთაზე,

მარადისად დაები,

აღარ გეკიდება რული,

მზედ ამოდის შენი სული,

ჰანგებს ისმენ ღვთაებრივს.

1974



ხუფუ, ხავრა, მენგაშრა

ძველი სამყაროს ბინადარო –
აიაზმა უკვდაგების,
უფლის ნებით მზემ აპკურა:
გიზას¹,
ნილოსს და
ეგვიპტეს,
ხაფრას²,
ხაფრას³,
მენკაურას⁴.

1995

¹ გიზა – უძველესი ქალაქი ეგვიპტეში.
2, 3, 4 – უგვიპტის ფარაონების: ხეოფხის, ხეოფრენის, მიკერუნის პირამიდები. (ძვ. წ. III ათასწლეული).



ხეოვნი და ხევრენი

ჩე¹ ოუ ჭითა² გოლადან³ –
 მეცამეტე ცის ტოტზე
 მამალივით შეფრენილს.
 კოჭებამდე ვერ გწვდება –
 ჯომოლუნგმა,
 მყინვარი,
 ხეოვნი⁴ და ხევრენი⁵.

1985

¹ ჩე (მეგრ.) – თეთრი.

² ჭითა (მეგრ.) – წითელი.

³ გოლა (მეგრ.) – მთა (თეთრი და წითელი მთები სამეგრელოში).

^{4, 5} – პირამიდები გგვიპტეში (ძვ.წ. III ათასწლეული)



გათხვება

განთიადის მოლოდინში,
ჩამომჯდარი დამის ტოტზე,
ცა,
ვარსკვლავებს აქნატუნებს.
და აყოლებს შარბათივით –
ელვის ფერად ნაკადულებს.

1977



მოგივლენ ანგელოზები,
იშრიალებუნ კედრები...
საღაც შენ დაიმარხები –
ნათელით შეიმოსება
იმ ეკლესიის –
პედლები.

1961



ქუხილს ელგა გაექცა
და ლაუგარდში ოქროსფრად,
გადენასკვა თოკს,
თოკი.

გაზაფხულის დამე,
ცას
გულისცემას უსინჯავს –
მთვარის ფონენდოსკოპით.

1959



გადმოფერთხვას გელოდი,
 მაგრამ ღმერთის დუმს კალთა.
 სადღაც ბედის ვარსკვლავი
 ქრება...
 და კვლავ ციმციმებს...
 და შენ, ცაო, ცათანო,
 ჩუმად შემოგციცინებ,
 ვითარც უფალს უფალთა.

1978



მოები

არაგვისპირას წამოწოლილან
მთები და თითქოს
ვითა დევები,
ერთურთს დაკუნთულ მკლავს
უსინჯავენ.
და იქვე ახლოს
პატარა ბორცვი
გდია პირქვე, ვით
ჩაის ფინჯანი.

1956



შურისმიება

“გადაიხვეწა კაენი და დასახლდა ნოდის ქვეყანაში,
ედემის აღმოსავლეთით”.

დაბადება 4, 13.

მივუყვები მოგარეს ახალს,
 სად მთიები მიდის,
 მოდის...
 კაენი რომ დაესახლა,
 იმ ქვეყანას ვეძებ ნოდის.
 არც წყალი მსურს
 და არც დვინო,
 მხოლოდ ათასწლეულების
 მერე თავის ძმის მოკვლისთვის –
 კაენს,
 ცოდვა ვაზღვევინო.

1969

მოაზროვნე ნათელი

ვარსკვლავები დილამდე,
ლამეებს რომ ათევენ,
ალბათ ჩვენზე ფიქრობენ,
რადგან ჩვენი სულია...
და ვით ტვინი ადამის –
ზეცა დაქსაქსულია.
მოაზროვნე ნათელით.

2017




მერგე საოცრება

(ლოცვა)

ზეცას შეცქაროდნენ შტერად,
ჩე გოლას და
ურთას მთები,
გულს უდრდნიდათ მთებს ეჭვები:
— ულოცავდა ახალ მთვარის
შუქზე ბებო,
ძმის ხელზე კი —
ქრებოდნენ ზღვა მეჭეჭები.

1954



ზიქვათები

არ ეტევა საბუდარში

და გადადის ზღვა კვლავ ყირას...

მე უძველეს კოლხურ სიტყვას –

ისევ ვაწრობ მზის ქურაში...

და ევქსინის –

პონტოს პირას,

ვაგებ ოქროს ზიქურათებს*.


1959

* ზიქურათი – საფეხურებიანი პირამიდა.

ჭლექი

დღე დღე არის,
მაგრამ დამე,
მზე ვარდისფერ შუქით აგსებს,
ვარსკვლავების ოქროს ურნებს.
მე არ მძინავს –
ლექსს ვახველებ,
ჭლექისგან ვერ განვიკურნე.

2001



სადღაც დასალიერში

სამოთხე იქ მეგულვის,
სადღაც დასალიერში
ცა და მიწა ერთდება.
სადაც საცხოვრისია
უგზოთა და
უკვალთა.
იქ არს ღმერთი ღმერთების,
და უფალი უფალთა.

1960



ცეცხლოვანი ქვაგილი

გრგვინგა ოქეანეთი და ზღუათა
ბლავილი,
აკრთობს ზე-ცის სამანებს
გადაქცეულს დიობად.
მიწის გულში დანთებულ
“ცეცხლოვანი ყვავილის*.” –
ელვარება აშინებს
საწყალ კაცობრიობას.

2017

* “ცეცხლოვანი ყვავილი”-ის. “ზურმუხტის თხზულებები”.



ხილული თუ უხილავი,
შენი საოცრებანი –
მსურს ვადიდო ბუკის ცემით,
როპვითა და წინწილებით,
სტვირითა და
ქბანით.

2017



მზის და მთვარის ქალაშები

სადღაც,

მიღმა სიშორის,

ისმის დამის გოდება...

რადგან იგი თავს ირთობს,

მკვდარ დღეებთან –

დავით ის!!!

ცაში ვერვინ დაითვლის,

მზის და მთვარის ქალაქებს

ნაგებს ოქროს ზოდებით.

1962



მკვდრის სული

წყალში როცა კენჭს ვისვრით
(წყლისნაპირთან მისული!)

შიშით,

ლამაზ წრეებად,
ზედაპირზე რომ გარბის,
თურმე არის დამხერჩვალის,
უფრო სწორად —
გავდრის სული.

1956



0სეგ პირამიდები

... ცაში რომ გაუშლიათ
 ნისლების აფრები,
 პატარებია თუ დიდებია,
 ყველა და ყველაფერი –
 ქალდეველ ბუმბერაზების
 ნაგები პირამიდებია.

1964



უფლის სახლი

ვით ბრძენი და ენამჭევრი
ბჭობს მენცარი ოსია:
— უფლის სახლის კარიც,
ჭერიც,
იატაკიც და კედელიც,
ლურსმანიც ოქროსია.

1954



ედგარ ალან პოს “ყორანი”

მამლებს მზე ამოჰყავდათ,
 ყივილების თოკებით,
 სიხარულის ედგათ დრო!
 უცებ ღია სარკმლიდან
 შემოფრინდა რაღაცა
 შავი,
 შავი ანფასით.
 მე... არ ვიცი, ედგარ პოს
 “ყორანს” რად მივამსგავსე!

1961



რომელია

ჩვენმა დიდმა წინაპარმა,
რომელიც თავს აფარებდა,
სინას მთას და
მთას ეგის,
უფლის რწმენა,
ცოდნის ქვაზე,
მახვილივით ალესა:
რომ სმენოდა ზარის რეკვა,
მიწას, წყალს და ჰაერსაც.

1970



პლუტონი

მშობელ მიწიდან გამოპარული,
 ციურ სამყაროს თავს რომ
 უტოლებ,
 კაცო პლანეტავ!
 გქონდეს რა გული?!
 ნეპტუნი¹ არა,
 შენ ხარ პლუტონი²,
 სადღაც შორეთში გადაკარგული.

1959

¹ ნეპტუნი – დედამიწიდან დაშორებულია 160 მილიონი კილომეტრით.

² პლუტონი, რომელიც აღმოჩენილი იქნა 1930 წელს, მზისგან 6 მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული.



ეპრისის ციხე

ეგრისის ციხევ მაღალო,
ნისლ-ლეგენდებით მოსილო,
კვლავ დგახარ საღ-საღამათი.
თუმც ბევრჯერ კარ-ჩამოხსნილი
ყოფილხარ –
ძმათა ღალატით!

1992



ჰაი, დედასა!

სამეგრელოს, აფხაზეთის

მზეს სტაცებუნ,
აჭარას კი “შუახევსა”
და “ქედასა”.

ავაი! —

ვაჟა ეგრისელო!

სად ხარ! —

ჰაი, დედასა!

1991



აქსიოდა

ზეცა დახუნძლულია
მნათთა ოქროს ზოდებით
(სამყაროს ეს ვერ შეცვლის!)
არ იკარებს ობს ოქრო
ოკეანის წყლის წვეთში,
ოკეანე ბობოქრობს.

1957



იმპრეს პირამიდა

(ვარიანტი)

ხუთიათასწლეულის იქით,
როგორც ან¹-მარებ²,
ზეცა კოლხეთ-ქიმეთის³,
მიქნევს მთვარის მარაოს,
ვით მეფეს და ფარაონს –
მდგარს წარსულის სამარის,
პირამიდას იმედით.

2017

¹ ან – (ბერძ.) ცა.

² მარე (სვან.) – კაცი (ან-მარე – ციხის კაცი, კოლხეთ-ქიმეთის ხელმწიფე) (5185-5120 წ.წ.)

³ ქიმეთი – ეგვიპტე.



სამი მმა

უშბას, შხარას და
თეთნულდს,
სამ მმას – ამავს სვანივით,
მზის და თავისუფლების
მოყვარეთ და
მოსურნეთ.
ვხედავ ჩემს ძველ კოლხეთში,
ქაოსიდან მოსულებს.

1963



ჭამე ზანძთაში

ჩასცექერიან მტკვრის სარპეს
მნათები
და დამეს სულ თეთრად ათევენ...
– უჩვენებენ გზას,
ქრისტეს გზას აცდენილო!
მოვარის არა,
ადგას უცხო ნათელი –
ხანძთას,
გრიგოლ ხანძთელის.


1959



ამურს, ანდა ადრიანეს

მწუხერისა, და დილის შუა,
გდია მთვარის თეთრი ბოგა,
ზამთარია ადრიანი.
ხოლო დღისით ცაზე მოჰგავს
მზე –
ამურს ან ადრიანეს.

1957



ენლილი

ევფრატის ნაპირზე გართულებს –

კოლხური ცეკვით და

თამაშით.

ენლილი* მოუხმობს ნაშიერთ:

– ვო, ნუსქუ!..

ნინურთა!..

ადადი!..

ნერგალი!..

შამაში!..

1969

* ენლილი – შუამდინარულ პანთეონში უზენაესი ტრიადის მეორე წევრი.



ცაო

ვიცი,

დედაა მიწა

და მასთან მიტომ ვდაობ!

მაგრამ შენ,

ვინა ხარ, ცაო!

ახლოს რომ აღარ მიკარებ,

ჩემო რძალო

და დაო.

1956



შაშვის ჟანტახი

მოეფინება ნათელი,
 ღამის წყვდიადით შემოსილ –
 გლეხის ქოხს,
 მდიდრის სასახლეს,
 როდესაც ბაღში განთიადს,
 შაშვი, რომ გაიჭახჭახებს.

1955



0სეგ მნეილი

თვალს ახელდა სადღაც ლეთა¹,
არსად ჩანდა მთვარის ყუა,
ჭიპლარით კი გადაბმული
ცა და მიწა
ენლილმა² წამს გადაკვეთა
“ოქროს ცულით”.
(ერთურთს დააშორიშორა).
ვით დურ-ენქი³ ჩადგა შუა.

1964

¹ ლეთა (ბერძ.) – ქვესკნელის თავდავიწყების მდინარე.

² ენლილი (შუმ.) – უფალი-ჰაერის სიგრცე.

³ დურ-ენქი (შუმ.) – კავშირი ცასა და მიწას შორის.

დიონისეს დაწურულ

ძველი ღვინით თვრებოდი –

სიბრძნისა და

სინათლის.

მერე ავსულთ უფრთხობდი

მამულს –

თოვით სიათის.

1957



მაცეარი

უფლის განაჩენივით,
ბნელი კაცობრიობის –
თავზარი უეცარი.
და ქროს არა,
ორ წარღვნას –
ბედად გადარჩენილი,
კოლხთა ძველი სამისნის,
რომ შენა ხარ მენცარი*.

2015

* მენცარი (კოლხ.) – ნათელმხილველი, მისანი, უოვლის მჭვრეტი.



წინაპართა სულია ზღვა ქარიშხლით
მოსული,
შავგულა და აშარი,
მას სურს ალბატროსივით
ცაში ფრთები გაშალოს.

1955



ობეჭისები

დარჩება მოურჩენელ იარად,
ქართველთა გულებში 1907 –
ქრისტეს ჯვარზეცმის

რიცხვივით.

და... წიწამურთან ობელისკი
კი არა,
დგას საქართველოს –
ს-ო-რ-ც-ხ-ვ-ი-ლ-ი!

1967



გამოპარვიხარ დედამიწას და...

პლუტონის* იქით გაგიშლია

ცაში ლოგინი,

მაგრამ წამითაც ვეღარ იძინებ,

და უსამანო ცას –

შესციცინებ,

უფალზე მლოცველ ასტროლოგივით.

1966

* პლუტონი (ცოომილი) – მზისგან ექვსი მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული.



ათა და ბაბა

იყო და არა იყო არა...

და რადგან ღმერთებმა ისურვეს:
(ნათლად ჭვრეტს ათა და ბაბა),
რომ მნათოა დახუნძლულ
ცის ურემს –
დრო, როგორც ნიშას და ნიკორას,
მზესა და მთვარეს
რომ აბამს.

1956



გაღვაშებს და შადიმანებს

აღარ ძინავთ ფარსადანებს!!!

ქვეგამხედვარ “დიდ”

მხარგრძელებს:

ზაქარიას და ივანეს!

რა გამოლევს ქართველებში –

ბაღგაშებს და

შადიმანებს?!?

1991




ქართული პოეზიის რაინდი

მიხევალ ხმალაღმართული
და სამშობლოს ორგულებს
არასოდეს დაინდობ.

პოეზიის –

ქართულის,
ერთადერთო რაინდო!

2017



ჩემი მოშურნე და მოღალატე,
 მფარველო!
 ნიადაგ ამხილე!
 რომ გზა არ მიქციოს ეწერად.
 აღიღე ფარი და
 მახვილი,
 და აღსდექ ჩემდა შეწევნად!

1962



ჩემი პოლემი და იგერია

(ვარიანტი)

კით დედამიწის პირველ მოსახლე.

ზეცას სიშორეს ჩუმად

შესტირის –

ჩემი კოლხეთი და ივერია.

მეც მზისშვილი ვარ აიეტივით,

მურიცხების* სისხლიც მირევია.

1960

* მურიცხე (მეგრ.) – ვარსკვლავი.

P.S. “გვარი მირცხულავა (მურიცხლავა) ვარსკვლავიდანაა წარმოქმნილი” ივ. ჯავახიშვილი.

P.S.S ვაჟა ეგრისელი – დედით მირცხულავა, პოეტ ალიო მაშაშვილის (მირცხულავა) დისწულია.



მზე რომ ჩავა,
 დამე მნათებს,
 საფლავების შავ-ლოდების
 კლავიშებზე,
 გარდაცვლილთა სევდას უკრავს...
 უფლის მსახურო –
 აღვლენილი ცაში ლოცვა,
 უბრუნდებათ წყალობად
 და ლოცვად უკან...

1967



შურით სხეული

საცოდავად რომ გიმზერდნენ
ქვემოდან,
ახლა სამგლე პვიცივით,
შენს წინარე მიხტიან...
(როცა ნახვად შეუვლი!)
და სიკეთეს,
შენი შურით სნეულნი,
მტრობითა და სიბოროტით გიხდიან!!!

2017



გელობა

(ზოგ-ზოგ ვაი “ქართველ” მეცნიერს.)

ჩემი ძველი კოლხეთის,
“ოქროს-მრავალ” წარსულზე,
ხელები რომ აღმართეს!
ო, იმ ავისმსურთველთა,
ისევ მესმის ყაყანი...
(გეტყვი მათ მისამართებს.)
ღმერთო!

შენი სამართლით,
თუკი გაასამართლებ!

1969



გალი


ყოფნა თურმე სიზმარია,
მოდი,
ჩემო, და ახსენი!

მივალო...

ქვაზე ფეხს წამოვკრავთ,
დავეცემით!!!

ქვა კი არა, ეს მიწაა,
დედა-მიწა ქვეყნად მოსვლის
“გალს” გვახსენებს!

2015



პონტოს სანაპიროზე –

მთიებივით ვაგროვე

დღეები ნუყარ-ნაყარი

და ზე-ცისკენ ვიურვი –

სადაც მიმელის სამყარო

შორი და...

კოსმიური...

2017



ქართული ცა

შოთარეული წარსულიდან –

ბლავილს ვისმენ ოქროს ვერძის,
სიცოცხლით მონუსხული.

ქართული ცა მოჰკავს პაპის

ნაანდერძევს –

ნაწერს ასომთავრულით,

მხედრულით და
ნუსხურით.

1967



მზე-ჰეროსტატე


SOS! – გაჟყვირიან ბნელში მამლები
და საშველად მოუხმობენ
მნათთა ოსტატებს!
რომ დამეს დიად დარჩენია
მთვარის კარები,
და მზე აღსაგლიოთ მიიპარება
რომ წაუკიდოს ცეცხლი ცის ტაძარს,
ვით ჰეროსტატემ!

1967



ქართლიდან თუ კახეთიდან –
ხსოვნის ნისლი მოაქვთ
ქარებს
და დასტირის ცა ქართული –
იავარქმნილ საქართველოს –
ნატაძრალთ და
ნაციხარებს.

1971



ოქროს სხივმა გაიელვა,
 და წუხილი არ მაჩვენო!
 სიყვარული მოგაქვს მზითვად.
 გზა სწორია...
 მაგრამ, ჩემო,
 შენ მიდიხარ ფეხმრუდ გზითა.

1977



ხილვა: მოსე ეგვიპტის უდაპოვი

დღეებმა გვემეს და აწამეს...
მერე მეწამული
პორფირით შემოსეს.
ღმერთებმა მაინც ვერ მოხედეს!!!
ოთხიათასწლეულის შემდეგ
ფიქრი ჭკრეტს მოსეს,
ეგვიპტის ცხელ უდაბნოში
მოხეტეს...

1966

გათხვება

(გარიბანტი)

მიწისძვრა კი არა,
სადღაც ცის იქიოთ,
გარსბეჭდაგები მზეს და
მთვარეს
ერთმანეთს აჯახებენ...
მამლები კი,
ყივილის ნაჯახებით
(გამოფუღუროებულ
და
ჭიანს.)
მარტოდ მდგარ,
გაბარჯლულ დამის ხეს
ჭრიან...

1956

ასე ყოფილა,
ასე იქნება –
ყოვნა,
არყოფნა!
უნდა დარჩეს ერთი ორიდან, –
ისმის ძახილი კოდეხი წინაპრის,
მაგრამ ჩემამდე ხმა ვერ აღწევს,
იმ სიშორიდან.

1968



ଓ ৰামোৰ্জা

ঝৰতী প্ৰক্ৰিয়া ও ধৰ্মসংলাপ
হ'ব কো ফো মিছি...
জুড়মেৰতোড়,
অৰৱাৰা শৰ্পা গোকৃষ্ণৰ লো.
শেখ বৈঞ্চৰ্ষ কগলাৰ ঝৰতাদ
অৰ্জুন!!!
বুদ্ধাৰ নীজন...
মৰ্যাদাৰ কৰিবো!

2013



მომხდეურისგან დაისრული,
ის ყოფილა ცოცხალ-მკვდარი,
ულოკია მწუხარების
ქვა-მარილი,
და... დღეს თბილისს წელზე მტბვარი,
შემოურტყამს –
გორგასლის ქამარივით.

1957



ՑՈՒՅՈ

ოրջեր ոյուցլես մամլեծմա դամյ
 դա մասնց աֆար օժինեծս ցոյշո,
 թոշարուս ծալումո դարձուտ այցե
 სցըլու,
 Ռաֆգանաց օցուս –
 գլուխեծուս օյնու,
 դամյուլ յըլուտ մցնացրոծա
 յցուս...

1917



პრეტა-მიგენი

პონტოს ნაპირებზე შემოჯარულ –
ათასწლეულებთან
გირკენია,
რომელთაც მითებით და
ლეგენდებით,
შენი კოლხეთი აუგსიათ...
შენი ფსალმუნები –
“კრეტა-მიკენია”
და “მტკვარ-არაქსის აუზია”.

1991



მოშხრი

მზე ჩაუყვება დამის კიბეებს...
 მწუხრი,
 ცის ოქროს დარაბებს
 აღებს,
 და მთვარის ბორბალს ატრიალებს...
 სადღაც ზესკნელში –
 გარსკვალვების პკიდია
 ჭალი,
 ათასი არა,
 მილიარდ გატიანი* ...

1959

* გატი (გერმ.) – ელექტროდენის სიმძლავრის საზომი ერთეული (736 გატი უდრის ერთ ცხენის ძლას).



შენს გზას ვერ მიაგნებენ,
ნატვრითაც რომ ინატრონ.
მიტომ შურით სკდებიან,
რომ შენ მესამასე ცის –
იქით...
მარტო ბინადრობ.

1978



ვენისი

სიშორისა და დავიწყების –
ათასწლეულებს რომ
შენისვლია.
და ახლა მზის ტოტზე რომ შეფრინდა,
კოლხეთი –
ათასჯერ აღმდგარი
ფერფლიდან,
ცეცხლოვანი ფრინველი –
ვენიქსია.

1976



მწუხარი

მლოცველები ლოცულობენ –
მიაგებენ უფალს პუთვნილ
სიხარულის ლამაზ წამებს.
ქრისტე – ცაა,
მთვარე უთვლის,
განზე მნათთა ნალურსმანებს.

1961



ანგელოზები

დღეებისა და წლების სინათლის
იქით...

უცხო და სხვა პლანეტების –
ქარიშხლების დაქრიან
ქარები...
და მთელი დამე მიწის სიშორეს,
ჩუმად ტირიან ანგელოზები,
ვარსკვლავთა ცრემლებს,
ოქროს ცრემლებს აღვარვარებენ...

1960



მაცილი და თიამათი

ფაზისის და პონტოს პირას,
ვით მარცვალი ოქროს ქვიშის –
ლეგენდა და სინამდვილე
და სიმრავლე ყრია მათი,
ფეხაკრეფით დადის შიში
მაცილის¹ და
თიამათის².

1965

¹ მაცილი – სატანა, ავსული.

² თიამათი – ბოროტების ღვთაება.



ელვა,
მანი,
მზა და მთვარე

ელვა მეხს ენას უყოფს და,
ზეგსის ძეს ასე აბრაზებს,
ხშირად უფუჭებს
ხასიათს.

მთვარე ერთია,
მაგრამ მზე,
მიღიარდ
ას-ათასია...


1979



ჯვარი

ბევრის ჭირი გაგიყავი,
ბევრზე ბევრის...
და ჩემს გარდა
მითრევია ჯვარი სხვისი,
რადგან ღვიძლი ძმა ვიყავი:
ამირანის,
ბადრისა და
უსუპისი.

2017



ბალაგარი

თუ გვიფიქრია –
 გაბრაზდეს დედა,
 მშობელი დედა –
 დედამიწა და
 უცაბედად მიცვალებულთა სულები
 რომ აყაროს!!!
 და... დაგვდევს შიში –
 გზად წაქცევის და ავარიის.
 მაგრამ ო, არა,
 თვალშეუდგამ ზე-სთა
 სამყაროს,
 სიყვარულის და პოეზიის აქვს
 ბალაგარი.

2017

1990

სამოცს გადაცილებული
“კურანტების” ხმა არ მესმის!
გლოვობს მოსკოვი და
კრემლი!
ხალხის სიხარულის ცრემლით,
დრო დამდგარა —
ხმალთა ლესვის!

1990



ჭყონ ღიზი¹

ასი ათასი წელი გავიდა,
 პონტოს პირას დგას მუხა
 ბებერი
 და მაშრიყიდან, ვიდრე მაღრიბით,
 გაბარჯლლულია მისი ტოტები...
 ადამის მოდგმა მიწაზე რომ
 ვეღარ ეტევა,
 მე დასაღუპად არ მემეტება,
 რადგან კოლხია მისი ტოტემი².

1969

¹ ჭყონ დიდი (მეგრ.) – დიდი მუხა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ კოლხი წინაპრები.

² ტოტემი (ინგლ.) – ამერიკის ინდიულთა ენიდან, ტომის წინაპარი, მფარველი.



ზღვაო

გსურს, რომ წარმტაცო მიწა,
მიტომ ნიადაგ დაობ...
მაგრამ შენ აღარ იცი,
ჩვენ რომ დგიძლი ვართ,
ზღვაო!
ჩემო უფროსო ქმაო!

1954



სიყვარული რუსთველური

ვით არაბი, ინდოელი,
 “მოფრანგენი” და ჩინელი,
 სანთელს უნთებს კოლხეს
 ურია.

სიყვარული რუსთველური,
 ტკბილია და საშინელი,
 რადგან იგი კოლხურია.
 მიტომ ათასწლეულები
 მხრებზე ნაბდად მოხურვია.

1961



შპარისობა

ცათა ბინადარს...

და მიწაზე პატრონს

დიდგორის...

ველის მარტყოფის!

მთელი სამყარო –

ერთ ფრთისგაშლად,

რავქნა! –

არ მყოფნის!

1993



შორით ჩანს მთიები ადიდებული
თეთრი ბორცვებით,
გითა ლაშქარი
დარიოსის ანდა პიროსის...
ზღვა ჭინკასავით
ქარის ფაფარს ჩაჭიდებული
კპლავ დააჭენებს ტალღებს
მტვრიან სანაპიროზე.

1958



სამყარო ესე

გლოვობს თავისთაგს მშობელი მიწა,
ბალახის თმა-წვერ მოშვებული,
დაუგარცხნელი.
და... პოეზიის შენა ხარ ბრუნო,
სამყარო ესე,
შენს ირგვლივ ბრუნავს,
“უსასრულო და აურაცხელი”.

1961



ტრიადა

შოთა,

გაუბა და

გალაკტიონი

(აი, პოეტი ქვეყნად ვინ არი!)

რომლებმაც მთელი

შეჰქმნეს ეპოქა.

და მათ წინაშე,

შენი მცირე ნაცოდვილარით,

აბა, მითხარი,

თაგი, როგორ გამოგეყოფა!

2017



ელვის ორად გაპობილ
დამის წყვდიად ნაპრალში
მნათთა ლეგიონები
აწყვია მოცელილი.
ხოლო,
შორს ცის კიდეზე –
ერთი ციცქნა ვარსკვლავი
მოჩანს უფლის ცრემლივით.

1969



დილა ხვეტს გარსკვლავთა –
 ოქრონარევ ნამსხვრევებს
 მთვარის აქანდაზით და
 ცეცხლით შეკრულ მზის ცოცხით.
 შენ კი იქით იურვი,
 საიდანაც ხმა ისმის,
 კოსმიური სიცოცხლის.

1960



ცხადად თუ ფიქრით რომ არ წვეოდი,
არ დარჩენილა დედამიწის

კუთხე-კუნტული.

და ვითა სული მარადიული
თან მდევდა შაშვის ოქროს გალობა
და თაფლნარევი მერცხლის
ღურჭული*.

1982

* ღურჭული (მეგრ.) – ჭიკჭიკი.



ანუაგები

წვერის წინაპარ შუმერთა,
 ოქმულებებს თუ გენდობით,
 კაცი ღმერთმა კი არა
 (ხალხმა დიდად ნაქებმა.)
 თურმე ნიბირუს* მკვიდრმა,
 შეპქმნეს ანუნაკებმა.

1965

* ნიბირუ – პლანეტა.



გოლჩა

ქრისტეს გაყვნენ ალბათ ცაში,
რომ არისმის ხმა “ეფუთის”
და “საწმისის”,
რომელთათვის ეწამა
კოლხა, როგორც იობი.
რადგან იყო ის საწყისი,
კერა მწიგნობრიობის.

1967



სატირი და “ჩაკრულო”

ელგად ჩამოდის “ჩაკრულო”,
 თან ახლავს ხმები სატირის*.
 ცა კი, ვით ჭირისუფალი,
 შავითმოსილი და შებლზე,
 ღრუბლის შავნაჭერ წაკრული,
 მიწის –
 შავ კუბოს დასტირის.

1961

* სატირი (ბერძ.) – ლგინისა და მხიარულობის კმერთი.



ჯვარი

თვალს არ უნდა აშორებდე
მამულს,
არწივს უნდა ჰგავდე!
და მიაგე მისაგები –
ბეცად მზირალ თურქს და დიდოს!
შენი ჯვარი სიკვდილამდე,
ღირსეულად უნდა ზიდო!

2017



ხოლვა: პაზლო იაშვილი – 1937

ვითარც პოეტი,

ისევ აჯენს ტყვიას

ტყვიაში

და მაჩაბელზე –

ჩახმახშემართულს –

ვხედავ იაშვილს:

“– უნდა შეაგდო კაცი ნამუსზე,

რუალდ ამუნდსენ!”.

1991



მთვარე-პუმპანები

ვით უჯარმაში გორგასალს

(იღლიაქვეშ გარღვეული),

დამეს აცვია ვარსკვლავების

ჯაჭვის პერანგი.

ხოლო შორს,

სადღაც,

გამხდარი მთვარე,

ცაზე ჰყიდია, ვით ბუმერანგი.


1957



800 දැඟලුව දා මාත්‍රාණිය


මිශ්‍රිත යෝගීයෙන් සූර්යෙන්
ක්‍රියාත්මක ප්‍රාග්ධනය
සෑම ප්‍රාග්ධනය දා
මාත්‍රාණිය නාමයෙන් ප්‍රාග්ධනය.
දා ප්‍රාග්ධනය,
ප්‍රාග්ධනය ප්‍රාග්ධනය,
ප්‍රාග්ධනය දා මාත්‍රාණිය.

1979



ვეფხისტყავად გადაშლილ –
ეგრისელს ზღვასა და,
ფშაველას ლურჯ მთის კალთებს.
ვით “ბალვაშს” და
“ფარსადანს” .
ვერფინ ამოიქვალთებს.

2014



080

მზეს, ვით უფლის ხატს
 ჩუმად გემოხვევი,
 თუმცა ჩემს ქოხში ღამეს არ ათვავს.
 და აჩირადდნებს სხვათა
 სასახლეს!

მაგრამ მე ვიცი,
 ალბათ ოდესმე,
 ჩემს ჯარგვალშიაც შემოანათვის.

1998



შავითმოსილმა ღრუბლებმა,
ვით ჭირისუფლებმა,
სანამდე დამე მთებს აივლიდა,
ელვის კივილით
მწუხარების ზღვა გადალახეს...
ნახეს მნათები, ერთურთი რომ
დილით დახოცეს.
ხოლო შუადღისას მზე გადმოდგა
ცის აივნიდან
და სველი სახე შეიმშრალა
ცისარტყელას ფერადი პირსახოცით.

1958



გავგასიონი

წყვდიადით მოსილ დათოვლილ
ლამეს,
კავგასიონი ტანზე იზომებს
და... უცებ ელვამ გაფხრიწა სივრცე!
ელვამ თუ...
ამირანმა გაიღვიძა
და გაიზმორა..

1960



შეკვეთი

დილა შეკრაგს მნათთა ულოს,
და მზის ვებერთელა საცრით,
გაცრის სხივთა ოქროს ქვიშას,
წყლად აქცევს ცის ოკეანეს,
რადგან ქვეყნად ყოველივე
სულიერი და
უსულო,
ყველაფერი წყლისგან იშვა.

1979



სინათლის შვილები

ლოცვითა და გედრებით
თავი უფალს მიანდეს
და მოესმით ზარის ხმა
შავი მთის და სინას მთის.
მოსავთ დამის წყვდიადი
ნათელ შვილებს –
სინათლის.

1969



გაბილონი და ქალდეა

“ხმა მოთქმის გაისმა ბაბილონიდან და დიდი
დაქცევა ქალდეებითა ქვეყნიდან”.

იერემია ო. 51, 54.

ვითა სოდომ-გომორი,
ყოველივე ცეცხლს მიაქვს,
ნაცრდება და
ალდება...
უფლის რისხვა დაატყდა –
ბაბილონს და
ქალდეას!!!

1871



800 გაფიპანი

გადამლილია კიდით-კიდემდე
შენი ზვრები და
ხოდაბუნები
და იმედი გაქვს დიდი მოსავლის
(საწყალ მთვარეს კი
ხან აკრავებ,
ხან ათიკანებ!)

შენ ერთი ციცქნა და
ღვთისმოსავი
ქვეყანა ხარ, ვით გატიპანი.

2012



სული

სულ ფხიზლობს და
აღარ ძილობს,
გამოსხმია ზე-ცის მტევანს,
ხან აწვიმს და
ხან ათოვს.
უჟამო და უმანძილო,
მძვინვარ ზღვაში ვერ ეტევა,
მაგრამ წვეთში კი ხალვათობს.

1963



ეს სოფელი, მცირე თუ

დიდი,

ერთია და უსამანო ქვეყანაა.

უფალი კი ჩვენშია და...

ვერ ვპოულობთ!!!

(ეფარება ნათელს ბინდი!!!)

რადგან იგი ყველგანაა...

1960



მპიტობი

მამულო შენს სანახებში,
მუდამ მომასწავებელი ავის,
აქ – ოსი,
იქ ლეპი გიზის,
და ისე, ვით,
მეფე დავითს,
უნდა გქონდეს ეპიფიზი*.

1992

* ეპიფიზი – ადამიანი თავის ტვინში არსებული
მესამე თვალი.



სამყარო შენ ხარ და შენშია,
 თავს ალბათ იმიტომ უტოლებ,
 ეჰეი!
 როდის მოსწეულდება ლოდინი
 ლოდინს!
 რადგან “კოლხური ფსალმუნები”
 სხივია პლუტონის,
 და, დმერთმა უწყის, ჩამოადგევს
 მიწამდე როდის!

2002



ატლანტა პუნქტი

ისმენენ ზესკნელიდან “ჩაკრულოს!”

(ძლიერია და განა უძლური),

უკვდავების გულ-მკერდში

ჩაკრული –

შუასკნელის ბინადარი,

“ატლანტა კუნძული”.

2009



ქარიშხალი

ზღვის ქვესკნელიდან გამოპარული,
 მოვარდა იგი,
 რადგან დაპირდა,
 რბევას...
 მძვინვარე ქარიშხალი
 გულს ვერ იოკებს..
 და მიტოვებულ დამის ნაპირთან –
 დილამდე ისმის
 ზვირთთა წიოკი.

1959



ლეგენდიდან მოსულები,
ხან მაძღარნი,
ხან მშიერი,
ხობს და ხეთას კვლავ სახლობენ.
დიდი ნოეს –
შვილთაშვილის
ხეთის,
კოლხი ნაშიერი.

1971



ოქროს საფლავი

როცა მზე ჩავა დასალიერში
და უამს მწუხარისას
სპეტაკ ღრუბლებში,
როს ვარსკვლავები მთვარეს დაფლავენ
და ცა რომ იგრძნობს –
დამის სიმძიმეს.
ის მთვარის ბორცვი –
შუქმოციმციმე
იქნება შენი ოქროს საფლავი.

2017



მრავალფლის ღმინდა გიორგის ფაპარი

მოდიოდნენ ისინი, სისხლის ზღვას
რომ ედინა...
უამი იდგა საზარი...
(ცოდვის კალოს უარესს,
ქვეყნად ვერვინ ნახავდა...)
და მრავალწლის ტაძარი,
ხვარაზმელი სულთანის –
უღვოო ჯალალ-ედ-დინის,
მუზარადს და...
სპართ მეფის,
შაჰ-აბასის ელვარე
ოქროს ხმალს ინახავდა.

1969

რიცხვი

დგანან ამაყად და გამომწვევად
(მცირეებია თუ დიდებია.)
პასუხს არაფერზე აგებენ!
რიცხვი * არა,
პირამიდებია,
ზღვაოსან კოლხების ნაგები.

2001

* რიცხვი (გერმ.) – წყალქვეშა კლდე, ბრაგა.



დამეს მთვარე, ვით ფიალა
უჭირავს და ამბობს “გეშვიო*”.
მიწას დაცქერს მერე ბინდად.
და გადმოდის დარდისფერი ოჯალეში,
გარსკვლავების ქვევრებიდან.

1958

* გეშვიო (მეგრ.) – დალიეთ!



არაგვი

ბაჯაღლო მთიებით ნაჭედი
თავს ზეცა ახურავს კრიალა,
და მთებზეც არ ეთქმის აუგი!
არაგვი,
შავ კლდეებს კი არა,
საკუთარ —
ბებერ თავს გაურბის.

1956



ოქროს მთიებით გადახურული,
მე, იმედების კოშკები კი
შენთვის ავაგე!
როგორც იტყვიან, თავზე მერჩივნე!
მე,
შეგეწვიე დალატს,
მტრობას
და სივერაგეს,
უშენობას კი,
ვერ იქნა და
ვერ შევეწვიე!

1969



დაღლილი და დაქანცული
მთვარე თვალებს ნაბავს
დილით,
მზეს მამალი ვაშად ყივის,
კოლხური ცა მხრებზე ნისლებს
გადაიყრის –
ბაშლაყივით,
და დღეს ტანზე მოიხურავს
ნაბადივით.

1957



ზღვა არის თურმე ცხოვრება,

გული —

დაჭრილი თოლია!

და არგინ უწყის საწყალი,

სანამ გაუძლებს წელვას და...

სიკვდილ-სიცოცხლის

ლოლიალს.

2015



အေမသရ၏ ၄၁ အေရာဇ်

ရှိစွဲမာ အေမသရ၏

နှစ်ပုံ၊

ရှိစွဲမာ အေမသရ၏ အနေဖြင့် –

လျှောက်လျောက် နှစ်ပုံ၊

နှစ်ပုံ၊

– စွဲ အေမသရ၏ အနေဖြင့် –

မြတ်စွဲ၊ မြတ်စွဲ၊

နှစ်ပုံ၊

1969



პოეზიის საასალარებს

ვაჟასა და გალაკტიონს,
რომ დაამცროს,
სხვას ადარებს.

(ბევრი ჩადის ქვეყნად ასეთს!!!)

პოეზიის ორ დიდ სპასპეტს,
ქართულ ლექსის სპასალარებს.

1960



ოქროს პვეთი

“სიკვდილითა სიკვდილის
 დამთრგუნველი”,
 პოეტი ყოველთვის
 აღსდგება მკვდრეოთ.
 ყოფნაც და არყოფნაც,
 რომ იტყვიან,
 ესაა მისი ოქროს პვეთი.

2012



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
ბეთლემი	25
აეროლიოებს, აისპერგებს	26
ლოდინი	27
*** ეხლა სხვაა	28
ნოსირი	29
ქრისტეს შობამდე	30
*** მზე როდესაც ზღვაში	31
*** რადგან სიყვარულის	32
ერთი სურვილი	33
აპოკალიფსურ მხეცოა	34
*** ჭერმალალი ცა კოლხური	35
*** გულზე ხელებდაკრეფილი	36
ძველი კოლხეთი	37
1992-2012	38
უძმოს-ძმა	39
N-ს	40
ვაჟავ! – ძევ ჰელიოსის	41
ქალდეველები	42
*** ცისკენ ხელებაპყრობილი	43
*** მირიადი წელია	44

ფერისცვალება.....	45
მთები და მდინარეები	46
მთიები.....	47
*** საწუთოის გზაზე მიხვალ	48
*** პონტოს ზღვიდან	49
მოლოდინი – “ის”	50
*** შოორეული ხმები გესმის	51
*** ცეცხლის ქვეყნიდან	52
*** სიყვარულის ლუსკუმა	53
1956 წლის ზამთარი	54
*** მეხი აშინებთ წვიმის	55
*** საიდანდაც კვლავ ჟონავს.....	56
*** ხმა “კოლხური	57
*** ისე, როგორც სააკაძეს.....	58
ხმა	59
*** ამ საწუთოში რადგან	60
აბა ულა!.....	61
ისევ მალხები.....	62
ხმა	63
*** მზეთამზის ძალით და	64
გარსკვლავთცენტრ	65
მეგრელ-ჭანებ-ზანები.....	66
*** დღეები კვლავ დამის	67

20 000	68
სარისა	69
არტემიდეს ტაძარი	70
გასაწმისდა, გააღდა	71
*** ერგნეთი.....	72
კატები.....	73
პეგასიც და ბუცეფალიც	74
*** ჩემი დიდი წინაპრების	75
პავკასიონის მთები	76
*** გადავიწყების კუნძულებიდან	77
ნარიყალა	78
*** კოლხეურ მთვარიდან	79
ილორი, ლიხნი, მოქვი	80
მამრეს მუხა	81
ვერდიქტი	82
1993	83
რწმენა	84
კაცხის სვეტი	85
ჭითაგვალა	86
ვით ანდრიას	87
ტბები	88
ოქროს მონეტა	89
*** ლამე მთვარის მაგიდას	90

ხორგაში.....	91
*** ესაა თურმე კაცის	92
ხობისწყლის პირას	93
დღე და დამე.....	94
დგას გრაალის სავსე	95
თუთარჩელა.....	96
*** შენი “კოლხური	97
*** შენ ცასა და მიწას	98
ტაო-კლარჯეთში.....	99
კათედრალები	100
ქარიშხელის მერე	101
ქალდუური ნათელი	102
კოლხური ფსალმუნები	103
პელიოსის ძე.....	104
70	105
*** როცა გითხრეს უეცარი	106
*** დაიბადები?!	107
*** ჩამომჯდარი ზღვისკარად	108
*** მშობელ მიწიდან	109
*** ელვა არა	110
*** უამ ჭირვების	111
*** ფაზისით და ენგურით	112
ხომალდი – “კოლარული	113

*** სადღაც აღსავლის	114
*** შენ კი შენა ხარ.....	115
*** უდვოლდ მივიწყებულ	116
1795.....	117
100 წლის წინ	118
*** იარა რომ არ	119
მეფისტოფელი და	120
“ან”-ი და “ენ”-ი.....	121
ხილვა: პეტრე, იაკობი	122
*** ზეცა გეწადა სამარედ	123
*** ოქროს მშვილდ-ისრიანი.....	124
*** მიწას არა.....	125
*** ვერც უჟამო ჟამთა	126
*** მგოსნის მზერა.....	127
*** შენი არა.....	128
ხუფუ, ხაფრა, მენკაურა	129
ხეოფსი და ხეფრენი	130
გათენება	131
*** მოგივლენ ანგელოზები.....	132
*** ქუხილს ელვა გაექცა.....	133
*** გადმოფეროხვას გელოდი.....	134
მთები	135
შურისძიება	136

მოაზროვნე ნათელი.....	137
მერვე საოცრება	138
ზიქურათები	139
ჭლექი.....	140
სადღაც დასალიერში.....	141
ცეცხლოვანი ყვავილი	142
*** ხილული თუ უხილავი.....	143
მზის და მთვარის ქალაქები.....	144
მკვდრის სული.....	145
ისევ პირამიდები.....	146
უფლის სახლი	147
ედგარ ალან პოს “ყორანი”.....	148
რწმენა.....	149
პლუტონი	150
ეგრისის ციხე.....	151
პაი, დედასა!	152
აქსიომა	153
იმედის პირამიდა.....	154
სამი ქმა	155
ღამე ხანძთაში	156
ამურს, ანდა ადრიანეს	157
ენლილი	158
ცაო	159

შაშვის ჭახჭახი.....	160
ისევ ენდილი.....	161
*** დიონისეს დაწურულ	162
მენცარი	163
*** წინაპართა სულია	164
ობელისკი.....	165
*** გამოპარვიხარ დედამიწას	166
ათა და ბაბა.....	167
ბაღვაშებს და შადიმანებს	168
ქართული პოეზიის რაინდი.....	169
*** ჩემი მოშურნე და	170
ჩემი კოლხეთი და იბერია	171
*** მზე რომ ჩავა.....	172
შურიოთ სნეულნი.....	173
ვედრება	174
ვალი.....	175
*** პონტოს სანაპიროზე.....	176
ქართული ცა	177
მზე-ჰეროსტატე	178
*** ქართლიდან თუ კახეთიდან	179
*** ოქროს სხივმა გაიელვა	180
ხილვა: მოსე ეგვიპტის უდაბნოში.....	181
გათენება	182

*** ასე ყოფილა	183
ცა და მიწა	184
*** მომხდურისგან დაისრული	185
ვიქტო	186
კრეტა-მიკენი	187
მწუხარი	188
*** შენს გზას ვერ მიაგნებენ	189
ფენიქსი	190
მწუხარი	191
ანგელოზები	192
მაცილი და თიამათი	193
ელგა, მენი, მზე და	194
ჯვარი	195
ბალავარი	196
1990	197
ჭყონ დიდი	198
ზღვაო	199
სიყვარული რუსთველური	200
უკმარისობა	201
*** შორით ჩანს მთიები	202
სამყარო ესე	203
ტრიადა	204
*** ელგის ორად გაპობილ	205

*** დილა ხვეტს	206
*** ცხადად თუ ფიქრით	207
ანუნაკები	208
კოლხა.....	209
სატირი და “ჩაკრულო”	210
ჯვარი.....	211
ხილვა: პაულო იაშვილი – 1937	212
მთვარე-ბუმერანგი	213
ვით ლოცვა და მატერია.....	214
*** ვეფხისტყავად გადაშლილ	215
იმედი	216
*** შავითმოსილმა ღრუბლებმა	217
კავკასიონი	218
წყალი.....	219
სინათლის შვილები.....	220
ბაბილონი და ქალდეა	221
ვით ვატიკანი.....	222
სული	223
*** ეს სოფელი, მცირე	224
ეპიფიზი	225
*** სამყარო შენ ხარ და	226
ატლანტია კუნძული.....	227
ქარიშხალი.....	228

*** ლეგენდიდან მოსულები.....	229
ოქროს საფლავი.....	230
მრავალწლის წმინდა	231
რიცები	232
*** დამეს მთვარე, ვით ფიალა	233
არაგვი.....	234
*** ოქროს მთიებით გადახურული	235
*** დაღლილი და დაქანცული	236
*** ზღვა არის თურმე ცხოვრება.....	237
ჰომეროსი და ჰეროდოტე.....	238
პოეზიის სპასალარებს	239
ოქროს კვეთი	240

Տ Ա Ր Ա Ր Ո Ւ Թ Յ ՈՒ Թ Յ


“Հ Ա Ր Ա Ր Ո Ւ Թ Յ ՈՒ Թ Յ Ո Ւ Թ Յ Ո Ւ Թ Յ Ո Ւ Թ Յ Ո Ւ Թ Յ Ո Ւ Թ Յ Ո Ւ Թ Յ” կազմության 100-րդ հոգության համար համաշխատ և պատճենահանության տարր է սահմանագործության համար մասնաւոր լուսակցությունը:

Եթե առաջարկությունը չունի մասնաւոր լուսակցությունը՝ այս պահանջմանը բարձր է առաջարկության վեհականությունը:

Եթե առաջարկությունը չունի մասնաւոր լուսակցությունը՝ այս պահանջմանը բարձր է առաջարկության վեհականությունը:

Եթե առաջարկությունը չունի մասնաւոր լուսակցությունը՝ այս պահանջմանը բարձր է առաջարկության վեհականությունը:

Եթե առաջարկությունը չունի մասնաւոր լուսակցությունը՝ այս պահանջմանը բարձր է առաջարկության վեհականությունը:



2020 թ.

გაზა ებრისელი

პოლჩური ფსალმუნები

100 ფორად
ფორმი 52

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHISALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 52

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ზვიად ბგალია |
| მხატვარი | – საართაგ ციცებაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუბიაძე |
| კორექტორი | – ლარეჯან ბგალია |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა ჭა ლათო ყალბაშვილები |

გამომცემელი – ზურაბ ლოლებაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com